პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 31 (1460), პარასკევი, 30 ივლისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

გასტროლები ლენინის ქალაქში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონი წარმატებით დაამთავრა. მაყურებელს, გარდა სეზონის საუკეთესო სპექტაკლების გარდა, ახალი დადგმებიც უჩვენა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თბილისის სცენაზე პირველად განხორციელებული პუჩინის კომიკური ოპერა „ჯანი სკიკი“. საფუძვლიანად განახლებული დადგმები: პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, ა. ბალანჩივაძის „მწირი“, გ. კილაძის „სინათლე“, ვ. გოკიელის „ბროლის ქოში“ და სეზონის უკანასკნელი პრემიერა — მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანი“.

უკანასკნელ ხანებში თეატრის მუშაობაში შეიმჩნევა შემოქმედებითი აღმავლობა. კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად მუშაობს და დიდ ინტერესს უწევს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. მის სპექტაკლებში სახელმოხვეჭილ ოსტატებთან ერთად წარმატებით გამოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც გაბედულად იკავებენ გზას და მაყურებლის სიყვარულს იმკვიდრებენ.

თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ ლენინის ქალაქში გაემგზავრა. თეატრის ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს კარგად ესმოდათ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ ლენინგრადის მაღალკულტურიან და მომთხოვნ მაყურებელთან შეხვედრა აკისრებდა. ამ პასუხსაგები გასტროლებისათვის თეატრი გულმოდგინედ მოემზადა და დაუზოგავი შრომის პირველი ნაყოფი უკვე მოიმკო.

გასტროლები 26 ივლისს ლენინგრადის ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში დაიწყო. ნაჩვენები იქნა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. სპექტაკლის დაწყების წინ სტუმრებს ლენინგრადის მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით გულთბილად მიესალმა რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. სოლოვიოვი. სოლოვიოვმა ილაპარაკა ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების მიღწევებზე და თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარება უსურვა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი. მან ილაპარაკა ორი მოძმე ხალხის კულტურულ ურთიერთობაზე, იმ ცხოველ ინტერესზე, რომელსაც ქართული მუსიკალური ხელოვნების მიმართ ლენინგრადის მსმენელები და მუსიკალური საზოგადოებრიობა იჩენენ. ეს ინტერესი, — თქვა მან, — ბევრ რამეს გვავალებს და იმედია ჩვენი თეატრის კოლექტივი მსმენელთა მოლოდინს გაამართლებს.

სპექტაკლი დაიწყო. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: მ. ამირანაშვილი (მარო), ვ. გლუნჩაძე (მალხაზი), შ. კიკნაძე (კიაზო), პ. ომიძე (ცანგალა), ო. გურგენიძე (ნანო), გ. ტორონჯაძე (ტიტო). სპექტაკლს დირიჟორობდა ოდიშ მირცხულავა.

გასტროლების მეორე დღეს წარმოდგენილი იქნა ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. მთავარ როლებს ასრულებდნენ ვ. ჭაბუკიანი (ოტელო), ვ. წიგნაძე (დეზდემონა), ვ. ცომაშვილი (იაგო), ლ. მითაიშვილი (ემილია), გ. ქუთელაძე (კასიო), ლ. ნადარეიშვილი (ბიანკა).

27 ივლისს ნაჩვენები იქნა მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანი“, ხოლო 28 ივლისს — გ. კილაძის „სინათლე“.

ნაჩვენებ სპექტაკლებს დიდი მოწონება ხვდა, რამაც გასტროლებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა.

ს. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში გასტროლები გაგრძელდება 7 აგვისტომდე. შემდეგ ჩვენი თეატრი ერთი თვის მანძილზე სპექტაკლებს უჩვენებს „ლენსოვეტის“ სახელობის კულტურის სასახლის სცენაზე.

ქართული მწერლობა
ფრანგულ ენაზე

მოსკოვში ფრანგულ ენაზე გამოდის ჟურნალი „ევრ ე ოპინიონ“ („ნაწარმოებნი და შეხედულებანი“). ჟურნალის 1965 წლის ივლისის ნომერი მთლიანად მიეძღვნა ქართულ მწერლობას. ჟურნალი იხსნება ირაკლი აბაშიძის წერილით „ჩვენს მკითხველებს“.

გიორგი ნატროშვილის მხატვრული ნარკვევი „საბჭოთა საქართველო“ ჟურნალის მკითხველებს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის წარსულს, მის დღევანდელობას, ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების მიღწევებს. აქვე მოთავსებულია საქართველოს სსრ რუკა.

პროზის განყოფილებაში ფრანგი მკითხველი გაეცნობა კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, გიორგი შატბერაშვილის, რევაზ ჯაფარიძის, მიხეილ მრევლიშვილის, ოტია იოსელიანის ნაწარმოებებს.

პოეზიის განყოფილება იხსნება ბესარიონ ჟღენტის წერილით „საქართველო — პოეზიის ქვეყანა“. აქვე დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, ალექსანდრე გომიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ანა კალანდაძის, გიორგი ლეონიძის, რევაზ მარგიანის, მუხრან მაჭავარიანის, ალიო მირცხულავას, კოლაუ ნადირაძის, იოსებ ნონეშვილის, ოთარ ჭელიძის, სიმონ ჩიქოვანის, ოთარ ჭილაძის ლექსები.

ჟურნალში დაბეჭდილია გ. მარგველაშვილის წერილი „ქართული პროზა“ და ა. ბარამიძის სტატია შოთა რუსთაველზე.

რუბრიკით „მწერალთა პორტრეტები“ დაბეჭდილია: ს. ჭილაია — „გალაკტიონ ტაბიძე“, ს. ჩიქოვანი — „ტიციან ტაბიძე“, შ. აფხაიძე — „პაოლო იაშვილი“. განყოფილებაში „გვესაუბრებიან მწერლები“ გამოქვეყნებულია კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „ჩემი გეგმები“, ალექსანდრე ქუთათელის — „მწერლის მოვალეობა“, სანდრო შანშიაშვილის — „ჩემი საუკეთესო პერსონაჟები“, თამაზ ჭილაძის — „ეს ჩემი თაობაა“.

ჟურნალში განხილულია კ. გამსახურდიას, პ. კაკაბაძის, შ. დადიანის, ნ. ლორთქიფანიძისა და მიხ. ჯავახიშვილის წიგნები.

ფრანგულ-ქართული კულტურული და ლიტერატურული საკითხებისადმი მიძღვნილი დავით ფანჩულიძისა და არჩილ გიგოშვილის წერილები.

ქართული ხელოვნების საკითხებს აშუქებენ წერილები: ეთერ გუგუშვილი — „თბილისის ორი თეატრი“, პავლე ხუჭუა — „ოპერისა და ბალეტის ქართული თეატრი“, კორა წერეთელი — „ქართული კინემატოგრაფია“. გარდა ამისა, ჟურნალი მკითხველს ფართო ინფორმაციას აძლევს ქართული ჟურნალ-გაზეთების, სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებების, გამომცემლობების მუშაობის შესახებ. ჟურნალი ბეჭდავს ავტორთა პორტრეტებს და მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნეს პიერ გამარამ, ჟან შამპენუამ, ლუსტერნიკმა, ბერნადეტ დიუკრესტმა, ჟაკ გოშერონმა, სერგი წულაძემ, ტატიანა ავალიანმა და სხვ.

ჟურნალი ლამაზად არის გაფორმებული. აქ დაბეჭდილია ფიროსმანაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, დავით კაკაბაძის, თამარ აბაკელიას, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, უჩა ჯაფარიძის, ქობა გურულისა და ელგუჯა ამაშუკელის ნაწარმოებთა ფოტორეპროდუქციები.

ლაპარაკობენ სახელოვნო უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

სულხან ცინცაძე

როგორც წესი, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან იწყება. ჩვენ კი ამ დროისთვის უკვე განვლილი გვექნება ეს მეტად მღელვარე და საპასუხისმგებლო პერიოდი.

რა შეიძლება ითქვას წლევანდელ მისაღებ გამოცდებზე?

როგორც წინა წლებში, ახლაც დიდი კონკურსი იყო. დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე აბარებდა 474 აბიტურიენტი. სიახლედ შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ მისაღებ გამოცდებზე საშემსრულებლო პროგრამის გარდა მაპროფილებელ საგნად სოლფეჯიო იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა წლებთან შედარებით აბიტურიენტებმა მუსიკის თეორიის საგნების კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. წელს ჩვენი კონსერვატორია ნიჭიერი, მომზადებული ახალგაზრდებით შეივსო.

წინა წლებში სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების დამკვრელები არ გვყავდა საკმარისად. კონსერვატორიის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია. წელს დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხება სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების დამკვრელთა დიდი ჯგუფი — ორმოცდაათზე მეტი კაცი.

ვინაიდან ყოველი საგამოცდო სესია გამოცდილებას გვმატებს, გადავწყვიტეთ, მომავალში დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის (იმ პირთათვის, რომელთაც დაამთავრეს მუსიკალური სასწავლებელი და რაიონებში სამუშაოდ გაეზავნენ) გამოცდები ოქტომბრის თვეში დავნიშნოთ.

გამოცდები დამთავრდა. ზოგ-ზოგ კონსერვატორიაში ჩარიცხულთა სიას გამოვაკრავთ.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფ. ილია თავაძე

ჩვენი ინსტიტუტი უმაღლესი თეატრალური განათლების მძლავრი კერაა. იგი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სტუდიებისა და კინოსტუდიის საფუძველზე შეიქმნა 1939 წელს. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტმა ქართულ ხელოვნებას მრავალი ნიჭიერი შემოქმედი შესძინა. წელს თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტების 30 სტუდენტმა. კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით მსახიობთა შემადგენლობა მთლიანად ამ თეატრებში განაწილდა (ზუგდიდში, ქობულეთსა და ცხინვალში).

ჩვენმა რეჟისორებმა სადიპლომო სპექტაკლები დადგეს ბათუმის, სოხუმისა და თელავის თეატრებში. სახელმწიფო კომისიამ ამ რეჟისორთა სადიპლომო სპექტაკლებს საუკეთესო შეფასება მისცა. ისინი დარჩნენ კიდეც ამ თეატრებში სამუშაოდ. აღსანიშნავია, რომ სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა წელსაც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დადგა ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მწირი“. [illegible] მუსიკალური [illegible] დიდად მოიწონეს ჩვენმა სტუმრებმა. [illegible] ოპერისა და ბალეტის თეატრმა მიიწვია ამავე სპექტაკლის დასადგმელად. ეს გამარჯვება, რაც თქმა უნდა, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგთა გამარჯვებაც არის.

[illegible] არის დამთავრდა მისაღები გამოცდები სამსახიობო ფაკულტეტზე (დაუსწრებელი). დავაკომპლექტეთ ორი ჯგუფი. მიღების კომისიის აზრით წელს გვყავს [illegible] სამსახიობო მონაცემების მხრივ დიდ იმედებს იძლევა. მუსიკალური კომედიის განყოფილებაზეც ეს ითქმის.

წელს პირველად მივიღეთ სტუდენტები საბალეტმეისტერო განყოფილებაზე. ამ განყოფილების ხელმძღვანელი ჩვენი სახელოვანი ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი ბრძანდება. ვ. ჭაბუკიანმა დიდი და აქტიური მონაწილეობა მიიღო აბიტურიენტების შერჩევაში, გამოცდების ჩატარებაში. გარდა ამისა, წელს ჩვენ პირველად მოვაწყვეთ მიღება დაუსწრებელ სამსახიობო ფაკულტეტზე.

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ძალიან დიდი კონკურსი გვქონდა. ამ ფაკულტეტზე სულ ათი კაცი მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ახალგაზრდები მეტად მომზადებულნი მოვიდნენ გამოცდებზე.

უკრაინელ მხატვართა საჩუქარი ყამირელებს

ამასწინათ უკრაინელმა სტუდენტებმა — მშენებლებმა ყუსტანაის ოლქის მშენებლობებზე გამგზავრების წინ უკრაინის მხატვართა კავშირს სთხოვეს მხატვრული ნაწარმოებები ყამირ მიწებზე შექმნილი კულტურული დაწესებულებებისათვის.

უკრაინელმა მხატვრებმა ყამირელთათვის შეარჩიეს რამდენიმე ათეული ნამუშევარი, რომელთა საერთო ღირებულება ცამეტი ათას მანეთზე მეტს შეადგენს. ამ ნაწარმოებებით შეიქმნება სპეციალური მოძრავი გამოფენა, რომელსაც აჩვენებენ ყამირი მიწების ბევრ დასახლებულ პუნქტში. შემდეგ სურათები გადაეცემა ადგილობრივ მუზეუმებს, კულტურის სასახლეებსა და კლუბებს.

მოსკოვში, გამოფენაზე

ქართული კერამიკული და ჭედური ხელოვნების ნაწარმოებების მაღალმა პროფესიულმა დონემ შორს გაითქვა სახელი. ახლა მას მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია გამოფენა, რომელიც სექტემბრის თვიდან მოეწყობა მოსკოვში. ამ გამოფენის ორგანიზაციისათვის ამჟამად საქართველოს სამხატვრო გალერეაში ჩამოვიდნენ სსრკ აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები. მათ სამხატვრო გალერეის თანამშრომლებთან ერთად შეარჩიეს 59 ავტორის 400-მდე ექსპონატი. აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება ქართული კერამიკული, ჭედური, ვერცხლისა და ხის დამუშავების ხელოვნების ნიმუშები.

გამოფენაზე ჭედური ხელოვნება წარმოდგენილი იქნება გ. გაბაშვილის, ქ. გურულის, ი. ქოიავას, ი. ოჩიაურის, დ. უფლისის, ი. შავგულიძის და სხვათა ნამუშევრებით. ქართულ კერამიკას მოსკოველები გაეცნობიან შ. ნარიმანაშვილის, ს. სულხანიშვილის, რ. მეტრეველის, ა. ხასიშვილის, ე. ფუხსაძის, ნ. კეკელიძისა და სხვათა ნამუშევრების საშუალებით.

გამოფენაზე გაგზავნილი ხის დამუშავებისა და ვერცხლის ნაკეთობათა ნიმუშების ავტორები არიან რ. წერეთელი, მ. მოგულიანი, ა. ხმარიაშვილი და სხვ.

გამოფენა აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში 2.5 თვეს გასტანს.

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



ქალი თბილისი.

მხატვარი ი. შავგულიძე.

ხუტა ბერულავა

სიმღერა ვარსკვლავებზე

პოემა „სიმღერა ვარსკვლავებზე“ ხუტა ბერულავამ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა.

ახლახან პოეტმა დაამთავრა პოემის მეორე ნაწილი. ვაქვეყნებთ მეორე ნაწილის რამდენიმე თავს.

თავი მერვე

მრავალი ვნახე,
ვისი ხილვაც გულით მინდოდა,
მაგრამ ლიპარი? —
რომ არა ჩანს ბიჭი გულადი!
დაიბუბუნა სულდგმულივით
მწვანე მინდორმა
და ცის ეკრანზე გამიცოცხლა
ძველი სურათი:

...მიჰქრის მერანი,
ფიცხი, შლეგი, გაუხედნავი.
და ლიპარია, ლიპარიტი,
მისი მხედარი.

კვალდაკვალ მივდევთ
თანატოლები,
ისმის ყიჟინა
და ზვირთების ლეწვა-
დგაფუნი,
მეც მათთანა ვარ —
ძიძიშვილებს რას
დავტოვებდი!
მეც მივუყენებ
მკერდგაშლილი,
ცხენგაქაფული.

გრიალ-გრიალით მიარღვევენ
ქალას ცხენები,
პირველი მაინც ლიპარია
და სხვა არავინ!
შეუჩერებელი,
შეუსვენებელი,
მირბის და... მიჰყრობს
სიხარული დაუფარავი!

მე ვინცა ბიჭო,
თავქარიანო და თვალნათელო,
მოიცა, გვეყო
უგზოუკვლო ეს თქარათქური!
სოფლის თვალი ხარ,
პირველი ხარ და სასახელო,
ხომ ალისრულე,
რაც გვაქვს დათქმული.

მოიცა-მეთქი,
შენ არ გესმის, არ იქანცები,
მხოლოდ შენი ძმა გეჯიბრება,
შენი შირიმი!
მოგყვებით უკან;
ვით მეთაურს ჯარისკაცები,
და სადღაც მთებში მეორდება
ჩვენი ყვირილი...

ჰქრება ჩვენება.
ლიპარი კი, ვაგლახ, არა ჩანს,
ძმობილი ჩემი,
მეზობელი და ნათესავი.
რა მიწამ ჰამა
მეომრული მისი ფარაჯა,
სად არის ბიჭი —
მთელი სოფლის ნაალერსალი!

ომი! წყეულმც იყოს ქვეყნად
მომგონი მისი,
რამდენი გული შეიწირა,
ცრემლი რამდენი!
რამდენ სარკმელში სამუდამოდ
ჩასახლდა ნისლი,
რამდენ ოჯახში
იმედების ჩაქრა კანდელი!

რამდენი თვალი სიკვდილამდე
გაჰხედავს შუკას,
პატარა შუკას,
საიდანაც მომსვლელი მოდის.
რამდენს ასწავლა იმ ტიალმა
მსოფლიო რუკა,
რამდენ სიყვარულს
გაფურჩქვნამდე დაადო ლოდი!

როგორც მეომარს,
ბრძენკაცივით ჩუმსა და
უთქმელს,
სოფელს აჰყვია
ნატყვიარი მწველი და მძიმე.
ყველა ოჯახში
სევდისათვის არსებობს კუთხე,
როგორც მარადი,
პატარა მღვიმე...

ო, სტკივა ზანას,
ჭრილობები თუმცა მოშუშდა,
შეაცახცახებს უნებურად
წარსული ელდა.
მას ეპატიოს ანაზდეულ
სახის მოღუშვა,
მას ეპატიოს, თუ ქამიცამ
ეწვევა სევდა.

შვილები მამებს სიზმრად
მაინც
ხედავენ ძილში,
იმათ კი რა ჰქნან,
ვისაც ქვეყნად
არ დარჩა შვილი!
ჩემო სოფელო,
არასოდეს არ გეგრძნოს შიში,
მიწავ მშობელო,
არ მოგაკლდეს მშვიდობის
ძილი!

თავი მეცხრე

წინ გადმიდგა
და სალამი არც კი მაცალა,
ჩამბღუჯა, თითქოს
ხილვა ჩემი არა სჯეროდა.
— მიყურე, ძმაო, შემომხედე,
ეს ვარ, რაცა ვარ! —
ჩემი რაყიფი, ხეიბარი,
შემომცქეროდა.

— მე ახლა შენთან საუბარი
მიმძიმს და მიჭირს.
ხომ არ მჭირდება ხელმეორედ
შენი გაცნობა?
შენ ჩვენისთანა და უბრალო
იყავი ბიჭი
და ვინ გასწავლა ჭაღლოქრობა —
წიგნის კაცობა?!

მე გამეცინა:
— ჭაღლოქრობა
შორს არის, ლევან,
მაგრამ რაცა მაქვს,
ყოველივე მაჩუქა ზანამ,
ზანამ
მზიანმა,
თავზარიანმა,
იმ ავდრის რწევამ,
რომელსაც თავზე ველებოდი
კოლხური ნანა!

ვთქვი და მოვხვიე
ჩემს ცალხელა რაყიფს
ხელები,
მკერდით მიაწვა
და გაალო სწრაფად პიჯაკი:
— თუმცა ვერაფრით,
მეგობარო,
გესახელები,
მესტუმრე წუთით,
ერთი წუთით,
სად მიიჩქარი!

ოდინდელ ოდას თავზე ადგა
ჩერო ჩინართა
და აივანზე ქოთქოთებდნენ
ვარდთა ქოთნები.
მასპინძელი რომ ელვასავით
გაუჩინარდა,
მიმოვიხედე
აღელვებით და შეშფოთებით.

რამ შემამჩნია ასე უცებ,
რამ აღელვება!
ღია ოთახის
ჩუქურთმიან, მაღალ კედლიდან
მიმზერდა ვიღაც,
(როგორ ჰგავდა იმ კაცს
ცალხელა)
თითქოს რაღაცას მანიშნებდა
და მაყვედრიდა.

რას მაყვედრიდა ეს უცნობი,
თითქმის ყმაწვილი,
ვარსკვლავიანი რომ შვენოდა
ქუდი მხედრული!
ვისზე ყოფილა, ანუ რაზე
იგი ნაწყენი?
ვის შეუმინდა
ეს თამამი და გაბედული?

მალე, სულ მალე
დაბრუნდა ლევან,
სურათთან ერთად მომაწოდა
მამის ბარათი.
აი რას სწერდა პირმშოს მამა:
„გესმის, ეს მე ვარ,
ამ ორ-სამ თვეში
ვავჭაღარავდი.

ეს მე ვარ, შვილო, ვინც
გასწავლა
ლენინის სიბრძნე,
ლენინის სახელს დღე და ღამე
ვინც გასწავლიდა.
შენგან მაშორებს
უსაზღვრო სივრცე
და ალბათ მეძებ:
სად წავიდა, ვისთან წავიდა?

მე თვით არ ვიცი,
რა შევცოდე ქვეყნის წინაშე,
ადამიანთა სიყვარული
თუ არის ცოდვა, —
ამას ვყვიროდი დღე და ღამე,
ცეცხლში, წვიმაში
და გულში მხოლოდ
ანთებული სიმართლე მქონდა!

შენ ვერ გაიგებ,
რა ძნელია დარდი და ურვა,
არაფრისათვის
უკუღმართად დასჯილი კაცის,
დამღუპა ალბათ
ჩია კაცის პატარა შურმა
და გულგრილობამ
განმიმზადა ეს ხვედრი მკაცრი.

ჩემს გვერდით იქნებ
მართლაც მტრები იხდიან
სასჯელს,
მე კი ვინა ვარ,
ამ სიმართლეს ვის გავაგონებ.
გესმის თუ არა,
ვერ გაიგე, რაისთვის მტანჯეს,
ნუთუ ამაოდ დამაშვრალა
ჩემი ძალღონე?

ვინც რა უნდა თქვას,
გინდ დამცინოს დაუზოგავად,
მე გულში მიდგას:
ჩემი ხალხი, ჩემი პარტია!
ორივ გაიგებს,
დღეს თუ არა,
როცა დრო გავა,
ჩემი ხალხისთვის
მე არასდროს მიღალატნია!

შენც არავის არ გაივლო —
ღალატი წამით,
იზამე იგი,
რაც გასწავლე და შთაგაგონე,
ნუ შეგაშინებს
ეს უღვთო იღბალი მამის,
შენ გაიხარე,
მე სიკვდილიც
არ დამაღონებს.

მხოლოდ იცოდე,
მხოლოდ გწამდეს,
გჯეროდეს მხოლოდ
ამ ტაიგაში დამწყვდეული
ჩემი სიმართლის,
ნუ შეუერთდები ნურასოდეს
ავსა და ბოროტს,
თუ დაიწვები,
შენც დაიწვი მამულისათვის!“

ასე ეწერა იმ გაცრეცილ,
მამის ბარათში...

თავი მეათე

— ლევანის მამა გახსოვება, —
მითხრა თორელმა
და ძია თედო მომაგონა:
კაცი ტანადი.
თვალწინ დამიდგა
საოცარი მისი ცხოვრება,
მე შევკრთი,
თითქოს დავპატარავდი.

მინახავს, როგორ არ მინახავს!
მამასთან ერთად
ჩაის ფაბრიკას აშენებდა
ზუგდიდში ისიც.
რამ დაავიწყა ყოველივე,
ღალატორს ღმერთმა,
რამ ჩამიყენა
თვალებში ნისლი?

რამდენი ელდა
დამეჯახა მოულოდნელად!
წარმოვიდგენდი მე ოდესმე
ლევანს ცალხელას?
მარტო უზიდავს ბიჭს ნაღველი
ქვეყნის ოდენა
და ვერავისთვის გაუბედავს
მისი გამხელა.

მე კი გავბედე?
მე კი შევძელ? —
შემეთქვა, შემეყვირა:
— ხალხო კეთილო,
იღუპება შენი ერთგული,
ცილისწამების აბლაბუდით
ხელფეხ-შეკრული!
მამაჩემს იცნობთ და შესძახეთ
ყველამ ერთპირად.

ქუჩები შემესიენ
შენს მოამაგეს,
ხმა ამოიღე,
თორემ გვიან იქნება, ხალხო! —
პატარა ვიყავ,
ლაბირინთში ველარ გავაგნ,
არ აღმომაჩნდა საამისო
ძალა და ალღო.

მე თვითონ მიკვირს,
რატომ ვდუმდი, რა მაჩერებდა?
ვმღეროდი კიდეც.
რა მამღერებდა?

(დასასრული მე-2 გვ.)

სიმღერა ვარსკვლავებზე

(დასასრული)

მისხალ-მისხლობით
გროვდებოდა
გულში გრიგალი,
და ეცვლებოდა
ამ მრისხანე დუმილს იერი,
იზრდებოდა და ზვირთდებოდა
ძალა იმგვარი,
რომელსაც ჭექის ვერ აუცებს
ძე ხორციელი!

ამგვარი ფიქრი ამედევნა,
როგორც შერისხვა...
თითქოს მესმოდა,
არც მესმოდა
ხმა თორელისა:
— განა არ იცი,
ქვეყანაზე როცა იელვა,
ჩვენი სოფელი,
ჩვენი ზანაც დაცარიელდა!

ლიპართან ერთად გაეშურა
ომში ლევანი,
თუმცა ორივე იმ დროისთვის
იყო ყმაწვილი.
რომ საქართველოს არ ენახა
მტერი ვერანი,
არ განეცადა რბევა,
მტრისგან ბევრჯერ განცდილი.

მათ ერთად განვლეს
გზა საშიში და სახიფათო,
(ლევანს აჩნია
ნაზიმტარი და ნატყვიარი!).
მიგვიგებდნენ —
ჩვენ ზანელი ბიჭები ვართო,
ჭირსა და ლხინში განუყრელნი,
თანაზიარნი...

მამაც იქ მყავდა,
როგორც შემწე და
წინამძღოლი,
მამა, რომელიც მორეულში
იყო ჯვარცმული,
ცხრაასჩვიდმეტში, ოცდაერთში
ნაშრომ-ნაბრძოლი,
ოცდაჩვიდმეტში
უგზო-უკვლოდ გადაკარგული.

გადაკარგული, დაღუპული?
არა და არა!
როცა ლევანი
შეტევაზე გადადიოდა,
შვილი კი არა,
წამებული მამა ჰკიოდა.
და ეცემოდა მტერს მოსისხარს
რისხვად და ზარად.

*

ვარშავის კართან
უნებურად შეჩერებულა,
აქ გაწყვეტილა გზა საბრძოლო,
მძიმე და ძნელი,
რადგან მტრის ტყვიამ
შეჩვენებულმა
ლევანს მოსწყვიტა,
როგორც ხედავ,
მარჯვენა ხელი!

...მიტომ თორელი —
ჩემი სოფლის მემატიანე,
მიამბობდა და, რა დავმალო,
იცრემლებოდა,
ადამიანის უცნაური
ბედის ტრიალი
ასე უბრალოდ
იწერებოდა.

თავი მეთერთმეტე

განთიადისას თანამგზავრი
დამეცა თავზე
და ზუგდიდისკენ გამიტაცა
ზღვისფერი „ვოლგით".
დავტოვე ზანა —
ჩემი სიყრმის სინათლით სავსე.
მრავალს შევხვდი და ვერ
მოვასწარ
მენახა ზოგი.

ეჰ, ზანა, ზანა!
როგორ მსურდა მის თბილ
კალთაში
თავის ჩადება,
ჩაფიქრება და გარინდება,
რომ საყვედური მომესმინა
ასიათასი
სულის ჩემის და სინიდისის
დასამშვიდებლად...

მსურდა ფეხშიშველს
დამერბინა
ეზო და ყურე
ყველა ნაცნობის და უცნობის,
ყველა ზანელის,
ყოველ ოჯახში გამეტეხა
მე ლუკმა პური.
თორემ ვინ იცის, ვინღა უწყის
ხვალ-ზეგ რა მელის!

მსურდა მთვარესთან მესაუბრა
თათიას ბაღში
და ერთი ღამე გამეთია
ძველი ტრფობისთვის.
მხოლოდ ერთი დღით
გავმხდარიყავ
პატარა ბავშვი
და ბიცოლაჩემს გაველაბე
ონავრობისთვის.

მერე ჭალაში გამერეკა
სოფლის კამეჩი,
მერე მეცქირა, როგორ აშრობს
ლორთქო მდელოს მზე,
მერე მუხაზე ავმძვრალიყავ
შუაღამეში
და ქამრით მიკრულს დამეძინა
მის კენწეროზე.

ვინ დამაცალა, ვინ მაღირსა...
ეჰ, ზანა, ზანა!
ვით ხობისწყალი,
მეც ვერასდროს
ვერ დავისვენებ,
ვიდრე... [illegible], თავო ჩემო,
ხეები დგანან, —
შენი ბავშვობის მეგობრები
და შენ გისმენენ.

ჩემიანებო, მეზობლებო,
სახლიკაცებო,
მე ჯილდოდ მერგო
ამ პატარა მიწის შვილობა.
თუკი ვარსებობ ქვეყანაზე,
თქვენით ვარსებობ,
მეც მტკივა თქვენი სატკივარი,
თქვენი ჭრილობა.

რა ბევრი ვიგრძენ
და რა ცოტა შევძელი მეთქვა,
რამდენ ღირსეულს ვერ
ვახსენებ
სიტყვა-უძლური!
დაე აშორდეს ჩემს ნააკვნარს
გვალვა და სეტყვა,
დაე აშორდეს ავთა ქართა
რისხვა, ზუზუნი.

ადამიანი თუ მოკვდება,
იმგვარად მოკვდეს,
ამა სოფლიდან წასვლა მისი
სიცოცხლეს ჰგავდეს,
თვით საუკუნე ელოტავოს,
ეჩვენოს მოკლედ.
კეთილი საქმის კვალი დარჩეს
უკუნისამდე!

ნახვამდის ზანავ,
თათიას და ლევანის ზანავ,
ჩემი ოცნების და სიმღერის
მწვანე აკვანო,
მე კიდევ მოვალ, —
დაგივიწყებ ოდესმე განა, —
რომ სამუდამოდ
გეამბორო და გეთაყვანო.

ისევ გშორდება სანდროს ბიჭი
და შენი შვილი,
ისევ მივყვები
ამწვანებულ ნაპირს ხობისას.
მხოლოდ ერთსა გთხოვ,
გამატანე ამ ნანატრ დილით,
შენი ლოცვა და ძახილი:
— გზა მშვიდობისა!

1965. ივლისი.

თავაზიანი მიმართვის ფორმა ქართულ ენაში

ყოველ ენას მოეპოვება განსხვავებული ფორმები იმისდა მიხედვით, თუ ვის მივმართავთ: „მიმართვის ფორმები" გარჩეულია იმის კვალობაზე, თუ ვინ ვის ელაპარაკება: ტოლი ტოლს, უფროსი უმცროსს (ანდა ბავშვს), უმცროსი უფროსს, ხანდაზმულ და მოსარიდებელ ადამიანს...

თავაზიანი მიმართვის ფორმად, მაგალითად, რუსულში მიღებულია სახელისა და მამის სახელის ერთად ხმარება (ვლადიმერ პეტროვიჩ), ეს წესი რუსულისათვის ბუნებრივია, ენის თვისებიდან გამომდინარე.

როგორია საქმის ვითარება ქართულ ენაში?

თავაზიანი მიმართვისათვის მოგვეპოვება ფორმა „ბატონო"; ამის შესაბამისად იხმარება „ქალბატონო", თუ მანდილოსანს მივმართავთ. ზრდილობიანი და თავაზიანი მიმართვის ეს ფორმა, მართალია, ერთობ გავრცელებულია ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში, მაგრამ მან „ოფიციალური სანქცია" დაკარგა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. ამიტომ „ბატონოს" აღარ ვხმარობთ ოფიციალურ კონტექსტებში — კრებებზე, პრესაში და ა. შ.

ქართულ ენაში შეიქმნა გაუგებარი უხერხულობა: აღარ გვაქვს თავაზიანი მიმართვის განსაკუთრებული ენობრივი ფორმა! თუ, ვთქვათ, რუსული ენა მშვენივრად ახერხებს — გამოხატოს მოქმედების დამოკიდებულების ხასიათი მიმართვის ფორმა „[illegible]"-ის და „[illegible]"-ს გამოყენებით, ამჟამად ქართულს ამის საშუალება არა აქვს: სხვა ფორმა, გარდა „ბატონო"-სი, ჩვენს ენას არ მოეპოვება ზემოთხსენებული ცნების გამოსახატავად. ეს უკმარისობა ენას თითქოს „აუნაზღაურებია" რუსული „[illegible]"-ის და „[illegible]"-ს გამოყენებით. კიდევ მეტიც: რაღაც განსაკუთრებული პატივისცემის თუ ახლობლობის აღსანიშნავად ზოგიერთები მხოლოდ მამის სახელს (რუსული დაბოლოებით) იყენებენ მიმართვის დროს: პეტროვიჩ! თენგიზოვიჩ!

ამის პარალელურად ვრცელდება, ასე ვთქვათ, „გაქართულებული" ფორმა: „ვლადიმერ პეტრეს-ძევ!", „შალვა თენგიზის-ძევ!" და მისთანანი.

აქვე დავძენთ, რომ რუსულიდან ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებებში ორივე ფორმას შევხვდებით — რუსულს (ვლადიმერ პეტროვიჩ) და გაქართულებულს (ვლადიმერ პეტრეს-ძევ). არც ერთი მათგანი არ დაკანონდა.

სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ „[illegible]"-„[illegible]"-ს გამოყენება ქართული ენისათვის შეუფერებელია. ყველა ენას თავისი კანონები აქვს და ამის მიხედვით, ცხადია, ქართული ვერ შეითვისებს სხვა ენიდან ამგვარ კონსტრუქციას, რომელიც არ ეგუება მის ბუნებასა და თვისებას. ენის შინაგან კანონზომიერებასთან შეუთავსებელი ფორმა არ შეიძლება დამკვიდრდეს და გავრცელდეს. ჩვენი ენის სტრუქტურულ თავისებურებას არ ეგუება აგრეთვე ვითომდა „ქართული" ფორმა: „ვლადიმერ პეტრეს-ძევ!" ეს მეტად ხელოვნური და უხერხული კონსტრუქციაა, რომელმაც ენაში ფეხი ვერ მოიკიდა.

ახლა ვიკითხოთ: რის საფუძველზე იქნა უკუგდებული „ბატონობით" მიმართვა? სიტყვა „ბატონი" ეტიმოლოგიურად (წარმოშობით) უკავშირდება სიტყვა „ბატონს", რომელიც წინათ, ბატონყმობის დროს, პრივილეგირებული წოდების გამომხატველი იყო. ამის გამო თითქოს გვეთაკილება „ბატონობით" მიმართვა.

მაგრამ ამგვარ შეხედულებას გამართლება არა აქვს.

სიტყვა „ბატონი" ლათინური სიტყვის — „პატრონუს" (ნიშნავს მფარველს) გაქართულებული ფორმაა. ეს იგივე სიტყვაა, რომელიც გავრცელებულია ქართულში სიტყვის — „პატრონის" სახით. ამგვარად, ლათინური „პატრონუს" ქართულში ვიდა ორი სახით „პატრონი" და „ბატონი". ეს უკანასკნელი ასეა ფონეტიკურად მიღებული: აქ დაიკარგა „რ", შემდეგ ე. წ. დისიმილაციური გამჟღერების კანონის ძალით, „პ" გადაიქცა „ბ"-დ (პატრონი — პატონი — ბატონი). „ბატონი" ამჟამად მდგრადი მეტყველებაშია დაცული; „ბატონი" განმარტებულია ქართულ ლექსიკონშიც, რომლის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი.

როგორც ითქვა, ჩვენში სიტყვა „ბატონი" წინათ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელს აღნიშნავდა.

ამის გვერდით ადრევე ამ სიტყვამ სხვა შინაარსი განივითარა: ზრდილობიანი საუბრის აუცილებელ კომპონენტად იქცა და გვერდში ამოუდგა სიტყვა „უფალს", რომელიც თავაზიანი მიმართვის ფორმად იყო ქართულში დამკვიდრებული („უფალო იოანე", „უფალო რედაქტორო!" და მისთ.). ხალხურ მეტყველებაში განმტკიცებული ამ შინაარსით „ბატონი" თანდათან მწერლობაშიც შევიდა და დაახლოებით მე-18 საუკუნის ბოლოდან იგი „უფალი"-ს კანონიერი სინონიმი ხდება; სიტყვა უკვე ლიტერატურულ სანქციას იღებს. დროთა ვითარებაში „ბატონო"-მ სულ განდევნა „უფალი" და ენაში დამკვიდრდა როგორც თავაზიანი მიმართვის ერთადერთი ფორმა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა პრივილეგირებული სოციალური ფენა, რომელსაც თავდაპირველად „ბატონი" გამოხატავდა, ეს ფორმა მხოლოდ და მხოლოდ ზრდილობიანი საუბრის სამკაულად იქცა.

ამრიგად, მეცნიერულად სრულიად კანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე: „ბატონი" თუ ოდესღაც კონკრეტულ საგანს აღნიშნავდა, სიტყვის ისტორიული განვითარების მიხედვით იგი განზოგადდა და თავაზიანი მიმართვის ფორმად იქცა.

როდესაც დღეს, ვთქვათ, პატივცემულ, ხანდაზმულ ადამიანს მივმართავთ — „ბატონო იოანე", განა ვინმეს აგონდება ბატონყმობა და ამ სოციალურ ინსტიტუტთან დაკავშირებული მაც-ბნელი ამბები? არა. სიტყვას ახლა სხვა გააზრება აქვს და დიდი უსამართლობა იქნებოდა, არ დავუჯეროთ ენაში ისტორიულად გამოწვეულ ახალ შინაარსს.

განა ცნობილი არ არის ენებში ანალოგიური მაგალითები? შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ რუსული ენის მონაცემები. რუსული სიტყვები рабочий, робота, რომლებიც დღეს მეტად სიმპათიური ცნებებია, მომდინარეობს სიტყვისაგან — [illegible] სიტყვები, აქაოდა ოდესღაც [illegible] სოციალური უკუმართობის უკუფინაათ?! ანდა ვინ უარყოფს მშვენიერ რუსულ სიტყვა „спасибо" იმის გამო, რომ მასში აღბეჭდილია რელიგიური წარმოდგენები: „спасибо" მომდინარეობს სიტყვების „спаси (тебя) бог"-ის შეერთებით. ანდა ავიღოთ სიტყვა „ხელმწიფე", ეს სიტყვა ხომ ჩვენში მიღებულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოდგება „ხელმწიფე"-სიტყვისაგან.

გარდა იმისა, რომ „ბატონ"-სიტყვაში ამჟამად არ არის ჩაქსოვილი ძველი გაგება, საგულისხმოა სხვა საბუთებიც, რომელთა საფუძველზე ამ სიტყვას აქვს ქართულ ენაში არსებობის უფლება:

1. ზრდილობიანი დაძახებისას სასაუბრო სიტყვა (გაგონებისას) ვხმარობთ სიტყვა „ბატონო" (მაგალითად: გივი! გივი! — ბატონო!). ამ ფორმას ენაში არ მოეპოვება შემცვლელი! მისი ამოგდება შეუძლებელია.

2. ენაში მტკიცედ დამკვიდრებულია მყარი გამოთქმები: „დიახ, ბატონო", „კი ბატონო", „ბატონი ბრძანდებით!", „ბატონო ხართ!" უაზრობა იქნებოდა, ვინმეს უნდოდეს, აღვკვეთოთ ენაში ეს გამოთქმები, რადგან ბატონყმური ურთიერთობის წარმოდგენებს აღვივებსო!

3. ქართულ ენაში დამკვიდრებულია სიტყვა „ბატონობა" (ბატონობს, გაბატონდა...). მისი მნიშვნელობაა: გავრცელებულია, მიღებულია, განმტკიცებულია. მაგალითად: „რა მოძღვრებაც გუშინ ბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია" (ილია ჭავჭავაძე). ანდა ნიშნავს: ძალაუფლება ხელში უჭირავს, მბრძანებლობს, განაგებს (იხ. ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, I ტომი). ძალიან გავრცელებულია ამ სიტყვის ხმარება ფიგურალური მნიშვნელობით. მაგალითად: „ქართლ-კი ჟინკა ბატონობდა და კარში თავს არავის აყოფინებდა" (თ. რაზიკაშვილი). ავიღოთ, თუნდაც, გამოთქმა: „პროლეტარიატი გაბატონდა". განა აქ ნაგულისხმევია, რომ პროლეტარიატი ფეოდალიზმის უფლებებით აღიჭურვა? არა. ამ ფორმით გამოითქმება აზრი, რომ პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, მბრძანებლობა, განმგებლობა, არც მეტი, არც ნაკლები.

აქედან ჩანს, რომ „ბატონ"-სიტყვამ ქართულ ენაში შინაარსი იცვალა, განზოგადდა, ზოგადი ცნების გამომხატველად იქცა და სრულიად დაკარგა ის სემანტიკა, რომელიც ოდესღაც ჩაქსოვილი იყო მასში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: „ბატონ"-სიტყვის ძირეულ მასალაზე შემუშავებულია მთელი რიგი ფორმები, რომლებიც დიდი ხანია შეისისხლხორცა და შეიწოვა ქართულმა ენამ. რაკი მათი უკუგდება შეუძლებელია, უნდა აღვადგინოთ თავაზიანი მიმართვის ფორმა „ბატონი", რომელიც სრულიად დაუმსახურებლად არის დაწუნებული.

პროფ. **შოთა ძიძიგური**

ვარსკვლავიანი ღამე

ვლადიმერ
იაკაშვილი

მთავარი [illegible].
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.

შუაღამემდე ვლაპარაკობდით. ვახტანგს ეძინა. დათა კაპეში იყო. წყნარი, თბილი ღამე იდგა. გვერდწითელების აივნიდან მთვარის მკრთალი შუქით განათებული ჩვენი ეზო ძალიან ახლობლად და ამავე დროს უცხოდაც გამოიყურებოდა. [illegible]

(დასასრული მე-4 გვ.)

რომანი — „დღეები ჩვენი სიყმაწვილისა" — ერთი თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავისათვის

ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველას უცნობი მოთხრობა

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „გოდება დიაკვნისა" უნდა დაბეჭდილიყო გაზ. „ივერიის" 1889 წლის 6 დეკემბრის (№ 260) ნომერში. გაზეთის აწყობილი გვერდი საცენზურო კომიტეტს დაუკავებია. საქმეში ჩარეული საქართველოს ეგზარხოსი (რადგანაც ეს ნაწარმოები მიმართულია სამღვდელოების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში დასაბეჭდ მასალაზე ორმაგი ცენზურა იყო დაწესებული), სპეციალური წერილით მიუმართავს ამიერკავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის და მოუთხოვია, რომ მარტო ამ ლიტერატურული ნაწარმოებისათვის კი არ მიექციათ ყურადღება; არამედ „ივერიაში" დასაბეჭდად შესული სხვა მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოებებისთვისაც.

ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ამ მოთხრობას მზის სინათლე აღარ უხილავს, არც მისი ავტოგრაფია შენახული.

ეს მოთხრობა, რომელიც დღეს პირველად ქვეყნდება, არ შესულა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში.

ანაბეჭდის რამდენიმე კორექტურული შეცდომა ჩვენს მიერ გასწორებულია. დანარჩენ შემთხვევაში მოთხრობის ტექსტი უცვლელად იბეჭდება.

გრ. კაკიაშვილი

გოდება დიაკვნისა

◆

(კოსტა დიაკვნის დღიურიდან)

◆

ჰოი გაჩენავ ჩემო! ჰოი დაბადებავ ჩემო! ჰოი მშობელნო ჩემნო, შვილისა თქვენისა უბედურისანო!

ჰოი უფალო, შემოქმედო ცისა და ქვეყნისაო!

ჰოი იესო, ძეო ღვთისაო! რაისთვის დამიტევეთ მე, უბედური მონა თქვენი. ნუკა გარდაიდო წოდებული, ხოლო ღრმად — [illegible], განკრძალულ ქვეყნისაგან. [illegible] ამას უბედურსა?

ჰოი, ძმანო და დანო ჩემნო, ძენო და ასულნო ისეთისანო და ხევსურეთისანო! თქვენ, მხოლოდ თქვენ უწყით სიმართლე ჩემი წინაშე თქვენდამო, წინაშე ეკლესიისა და ყოვლისა ქვეყნისა პირის-პირ აღმოსავლეთით დასავლეთად, განა ჩრდილოეთით სამხრეთად. რაისთვის ვიქმენ მე დასჯილ, ვინაიდგან ისეთად და კვალად ხევსურეთად?...

იყო ისეთსა შინა მღვდელი სოლომონ და მე მას თანა დიაკვნად. და იყო მეუფ შემოსავალი „პრიხოდისა" მას ერიად-ერიადი ქორონიკონსა ჩუმგასა (1883 წ.). განა პურითა, განა არყითა, განა კარაქითა და ყველითა ისურითა.

ჰოი, უფალო, იესო ქრისტე, სასოებაო ჩემო, მეწყალენ მე, მონასა შენსა კოსტასა, მიიხედ ყოვლადვე! ჰოი მთანო ფშაველნო და მღვიმენო ისეთისანო და ჰოი ასულნო ისეთისანო და თქვენ თანა, დაო ჩემო [illegible], რომელმან უცხო, მიგელე შენ უცხო, ვითა დაი თვისი. და ენათა ბოროტთა ... შემწამეს თავი შენი! შთანთქას ბოროტი [illegible] ამას განკითხვისასა!

მღვდელი ჩემო, მღვდელი ჩემო, სოლომონ, რაისთვის მომიძულე მე?

მაგონდებიან რა ჟამნი ისეთისანი, ვსტირი მე ტირილით ფიცხით. აღმევსნეს უბენი და კალთანი ცრემლითა. თვალნი ჩემნი აღივსნეს სისხლითა და გული ჩემი განიმსჭვალა ლახვრითა, რაისთვის აღმომკვეთეს მე „პრიხოდით" შენით და მოამკვდეს მე ცოცხალსა ამას განუკრძალველსა?

დამწამეს მე ცილი მრუშობისა მის, რომელ უბედური სული ჩემი არა არის შემცოდველ. განმაძევა მე მღვდელმან ჩემმან და ბლაღოჩინმან ისეთისა ამისათვის, ხოლო მეტყოდა ბლაღოჩინი იქავე დატევებად ჩემდა და ითხოვდა ას ვერცხლს. ვიყავ რა მე კაცი ღარიბი, ვერა შევიძელ ბოძება სასყიდლისა ამის [illegible] და გოდებით განვეშორე „პრიხოდსა" მას [illegible]. მოაკლდეს ცრემლთა მიერ თვალნი ჩემნი, [illegible] ჩემი, დაითხია ქვეყნად დიდება ჩემი!..

ვილტოდე [illegible] ქვეყანასა მას, სადაცა მშვა დედამან ჩემმან და მამან ჩემმან, რომელთა მრქვეს: „შვილო ჩვენო, რაისთვის დაგიტევეს შენ ბლაღოჩინმა და მღვდელმა შენმა სოლომონ?

და ვარქვი მე, რამეთუ მტრობათა გამოუცდელობამან ჩემმან დამღუპა მე.

ჰგოდებდეს მშობელნი ჩემნი და ნათესავნი ჩემნი ჩემდამი დაღუპვისათვის. ქვეყანა მძრახვიდის მე, და იტყოდიან ჩემდამო ცუდსა. რამეთუ დავკარგე მე დიდება და დავრჩი მე, ვითარცა ისრაელნი წარტყვევნილნი ფილისტიმელთაგან; წვალებულ, ვითარცა იესო ერიათგან, ვითარცა ბავშვნი წვრილთაგან, ვითარცა ცხოვარნი წარტაცებულნი მგელთაგან. განიხრწნა ყოველნი სახსრენი ჩემნი, ვიქმენ ამაღლებულ, ვითარმედ დამდაბლებულ, ვითარცა იგივე ტომი ისრაელთა. ემწყსიდი ცხოვართა მამისა კლდეთა და ღრეთა შინა [illegible]. [illegible] რა ყოველნი ცხვრეთი, განვიხსენი სამსახური ეკლესიისა, კითხვა წიგნთა სალმრთოთა და შემოსავალი „პრიხოდისა" ერიად-ერიადი არსებისათვის ხორცისა ჩვენისა, რათა ვაცხოვნოთ სული ჩვენი. სწუხდა გონებად ჩემი, და მივმართე კვალად კონტორასა და ეკსარხოსსა ყოვლისა საქართველოისა სრულიად იმიერ და ამიერ, აღვწერე ყოველი დაშრომა ჩემი, უბედურებანი ჩემნი. მივართვე არზა იგი, ნაბანი ცრემლითა ნადენისა თვალთაგან ჩემთა.

მან ჟამსა ვიდოდი გზასა მას ერწოით კრძალ და მეჩ შემხვდა ბლაღოჩინი იგი ფშავისა, რიცა ხევსურეთისა, რომლისა გამო ვგოდებ მე დღე და ღამ, ყოველსა ჟამსა, შევაძრწუნებდე გოდებითა ჩემითა ცანი და ქვეყანანი და იესო მაცხოვარი, რომელი მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და მარქვა მან ბლაღოჩინმა იოვანემ: „რაისთვის დაურდომილ ხარ, შვილო ჩემო? ვითარმედ მე მსმენის სწავლულება შენი, [illegible] შენთვის წინაშე ეკსარხოსისა და ვითხოვე შენდამი ბოძებად „პრიხოდისა" და [illegible]; ხოლო წესი არს, შვილო ჩემო, რომელ მუშაკი ღირს არს სასყიდლისა".

იცრუა მან ბლაღოჩინმან [illegible] ჩემისა.

და მრქვა კვალად: „ცხენი შენი, შვილო ნიკოლაოზ, უნდა მაჩვიო, რათა [illegible] ზენა სოფელს".

ვიჯექ რა მე ტაიჭსა მამისა ჩემისასა [illegible], ვარქვი: „მიიღეთ, მა- [illegible]

[illegible] ვსთხოვე მე იგი [illegible].

მარქვა მე [illegible] ბლაღოჩინმა მამამან იოვანე, რამეთუ „მუშაკი არს სასყიდლისა!" განრისხდენ ბაგენი მისნი და თვალნი მისნი გამოსთქვამდნენ მღელვარებასა ფერიადსა. შეჰკიოდნენ „არამზადი შენ, [illegible], ვინაიდგან არა გსურს, რამე თუ კვალად აღმოგზრდელ „პრიხოდით" მეგით და დაგტოვ კვალად „უპრიხოდოდ".

შეძრწუნდა გული ჩემი და გონება ჩემი და კვალად დავიმდაბლე.

ვსტირი რა ამას, კვალადცა ვსტირი, ძმანო ჩემნო, მაზედ, პირველ ჰპოვნესა იმას ოთხფეხისანსა, ფეხსა-კუდიანსა და „პრიხოდისა" ჩემისა სიმწარისა და შემოსავლისა უძლურებასა და ბლაღოჩინისა იოვანისაგან კვალად და კვალად სასყიდლის ბოძებასა, [illegible] ერბოსა და კვერთა (ყველი ხევსურული), განმიძელდა ტყავი ხორცთაგან ჩემთა, გაცვივნენ ფერხნი ჩემნი [illegible] და ზიდვისა ბლაღოჩინისადმი ყველისა და ერბოისა. რაისთვის ვგოდებ კვალად მე? ხოლო შემხვდა მე მღვდელი, ანგარიში არა [illegible] „პრიხოდისა" მისისა, ხოლო ცხოვრებს რა „პრიხოდს" სხვისისა, ვეჭვობს იგი, ვითარცა ვეშაპი [illegible] მით. [illegible] თვისი [illegible] ერბოისა და [illegible] გაცემულისა თვისისა.

ვგოდებ მე, ძმანო ჩემნო, ვითარცა იერემია, კიდეც მას ზედა იორდანესასა და გოდება ჩემი არა არს უმცირეს გოდებისა წინასწარმეტყველისა იერემიასი, ვითარცა ფსალმუნი დავითისა და სიბრძნე სოლომონისა.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა დუშეთში

მოგონება

მამა დუშეთის სასამართლოში მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა და ამაყობდა, რომ ილია ჭავჭავაძის სამუშაო მაგიდას უჯდა. სასამართლოს მახლობლად ვინმე [illegible] შეძენილი საკარმიდამო ჰქონდა და მას ოროთახიანი სახლი ედგა.

ერთ დღეს, [illegible], რომ ჩვენი სახლის ჭიშკარს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი ცხენით მოადგა. ცხენი ჭიშკრის ლობეს მიაბა, ეზოში შემოვიდა. ჩოხას ჯრიმული ხანჯალი ემშვენებოდა. ცხვრის ტყავის ქუდი მოიხადა, გაოფლიანებული შუბლი ხელისგულით შეიმშრალა და ჩემსკენ წამოვიდა. მე წინ მივეგებე და განცვიფრებით ცქერა დავუწყე. მან თვალი თვალში გამიყარა და გამიღიმა.

— გამარჯობა, ბიჭიკო, შენ არჩილი ხარ, არა?

მე თავი დავუქნიე.

— როგორ გამოცვლილხარ, მამა შინ არის?

— დიახ, ახლავე დავუძახებ.

ამ ლაპარაკში ოთახიდან აივანზე დედა და ბებია გამოვიდნენ. ჩოხიანს რომ გადმოხედეს, სახეზე მხიარული ღიმილი გადაეფინათ და ერთხმად მიმართეს:

— მობრძანდით, პატივცემულო ვაჟა, მობრძანდით! თქვენთვის ჩვენი სახლის კარი ყოველთვის ღიაა.

ვაჟა აივანზე ავიდა, მანდილოსნებს ხელი ჩამოართვა: დედა და ბებია ოთახში შეუძღვნენ. ჩვენც, ბავშვები უკან შევყევით. პატარები ოთახის სიგრძეზე გადაჭიმულ განიერ ტახტზე შევხტით და ძვირფას სტუმარს დავუწყეთ მზერა.

ვაჟამ შარვლის ჯიბისკენ ხელი წაიღო, ქაღალდში გახვეული კონფეტები ამოიღო, და ტახტის გასწვრივ, სადაც ბავშვები ვისხედით, ჰაერში აისროლა. კონფეტები [illegible] ტახტზე წვიმასავით წამოვიდა.

ბავშვები მისცვივდნენ, კონფეტები წამოკრიფეს და ტახტზე ჩამოსხდნენ. ამასობაში მამაც შემოვიდა, ღიმილით შეხვდა ნასურველ სტუმარს. მოწიწებით ხელი ჩამოართვა და მეორე ოთახში შეიპატიჟა.

— სხვა, როგორ ბრძანდებით, პატივცემულო გიორგი, ჰკითხა ვაჟამ.

— რატომ დამივიწყე, ჩემო ვაჟა, გასულ ზაფხულს აქეთ აღარ მოგვგონებიხარ!

— როგორ არა, მაგრამ ვეღარ მოვიცალე. დუშეთს ისე როგორ ჩამოვალ, არ გინახულოთ.

— ჩემო ვაჟა, შენი ნამყენი გულაბი ჯერაც არ მოგაგონდა? — გაახსენა მამამ, — ჩინებული ხელი გქონიათ, მაშინვე იხარა, წელს აყვავდა კიდეც და რამდენიმე ნაყოფიც გამოიტანა.

— რასა ბრძანებთ, მართლა? მე ურწმუნო თომა ვარ, თუ ჩემი თვალით არა ვნახე, ვერ მოვისვენებ.

ვაჟა აივანზე გამოვიდა და იქვე აივნის წინ აღმართულ ხის თვალი გააყოლა. გულში სიამე იგრძნო. დიდხანს უცქირა, ბოლოს თქვა:

— ერთი ხის ძირიდან მწარეც იზრდება და ტკბილიც, პანტაც და გულაბიც, ლამაზიც და მახინჯიც. ამიტომ ჩვენ, ადამიანებმა, ლამაზი და ტკბილი უნდა ვამრავლოთ. ძმაო გიორგი, ამ ნამყენ გულაბს, მწიფობისას, უჩემოდ მოგინახულებ.

— რასა ბრძანებთ, იქამდე განა არ უნდა ჩამობრძანდეთ?

— აგი მოგახსენეთ, დუშეთს თუ მოვხვდი-მეთქი. აბა ჩარგალს ისე როგორ წავალ, არ გინახულოთ.

მამამ თვალით მანიშნა, ვაჟას ცხენი ეზოში შემოიყვანეო. მაშინვე კარში გავვარდი, ჭიშკრის კარი გავაღე და ხურჯინგადაკიდებული ცხენი ეზოში შემოვიყვანე. მამამ ჩასუქებული ცხენი შეათვალიერა, ვაჟას მიუბრუნდა და სასიამოვნო კილოთი მიმართა:

— ეს კარგი საქმე გაგიკეთებია, ჩემო ვაჟა, ჩინებული ცხენი შეგიძენია.

— ეჰ, ძმაო გიორგი, ცხენს მე ვინ [illegible], ხომ მოგეხსენებათ ჩვენებურები უჩემოდ არაფერს აკეთებენ. თუ ფშაველს მიწის გადასახადი შეაწერეს, მე უნდა მომიტანონ და მარჩენინონ, თუ დუქანში პატარა წაკინკლავება მოუვიდათ, მე უნდა შევარიგო, თუ სტრაჟნიკებმა დაიჭირეს, მის გამოსაშვებად შუამავლად მე უნდა მივეშველო. თუ ძმებს ან ნათესავებს ერთმანეთში რამე სადავო, გასაყოფი და მოსარიგებელი დაუბადდათ, რჩევისათვის მე უნდა მომმართონ და თხოვნა დავაწერინონ. აი ახლაც მეზობელ სოფელში ძმებს საკარმიდამოს გაყოფის დროს ჩხუბი მოსვლიათ. [illegible] ვერ მოვარიგეთ და მამულის კანონიერად გაყოფისა და შერიგებისათვის თქვენთან გამომგზავნეს. ეს ცხენიც იმათ მათხოვეს. ამ წინაზე ფშავიდან, დუშეთს სავაჭროდ ჩამოსული ჩვენი გამოუცდელი ფშაველები სინდისგარეცხილ ბაყალ ვაჭრებს ხელში ჩაუვარდათ. ახალი მდნარი (ერბოთი) გავსებული ტიკები დაუცალათ და სამაგიეროდ წინაზე წონა ქვამარილი და ნავთი მიეცათ. ნაწყენმა ფშაველებმა გზად ჩემთან შემოიარეს და შემომჩივლეს: ერთი მეზობლურად [illegible], სინდისნამუს გაყიდულებს [illegible] შერცხვებოდეთ.

ჩოხაკალთაგებული ვაჟა ეზოში ჩამოვიდა, ცხენს ალვირ-უნაგირი და ხურჯინი მოხსნა, დერეფანზე დაალაგა. ცხენს კისერზე თოკი შეაბა და ბაღის მხარეს ლობეს გამოაბა.

მე ტახტზე ვიჯექი, ვაჟას ლაპარაკს ყურს ვუგდებდი. როცა მამაჩემი ოთახში შევიდა, ვაჟა გვერდში მომიჯდა, ხელი გადმომხვია და დამიწყო ლაპარაკი. ქალაქის და გიმნაზიის ამბები მკითხა, როცა გაიგო, რომ ქართულ ენას და ლიტერატურას ლუარსაბ ბოცვაძე გვასწავლიდა, გაუხარდა და მითხრა:

— ოო, ლუარსაბი ჩემი ახალგაზრდობის კარგი მეგობარია, კავკავის ქართულ სკოლაში რომ მოღვაწეობდა. მისი ხშირი სტუმარი ვიყავი. მერე თბილისში, ქართულ გიმნაზიაში რომ გადმოვიდა, აქაც ვნახულობ ხოლმე, ახლა ჟურნალ „განათლებას" ხელმძღვანელობს.

— კლასის დამრიგებელიც კარგი გვყავს, თუ იცნობთ დავით კარიჭაშვილს, თან ფრანგულ ენასაც გვასწავლის.

— დავითს როგორ არ ვიცნობ, კარგი ისტორიკოსია, უმაღლესი სასწავლებელი საფრანგეთში დაამთავრა. ქართულ გიმნაზიაში ბევრი კარგი მეგობარი მყავს. მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, [illegible] იაშვილი, პეტრე სურგულაძე, პეტრე მირიანაშვილი, გიორგი ეგნატაშვილი და სხვები.

საერთო ნაცნობების მოგონებაში ვიყავით, როცა დედაჩემი მოგვიახლოვდა და ვაჟას მიმართა:

— დიდად პატივცემულო ვაჟა, გთხოვთ მეორე [illegible] გვეწვიოთ!

— სიამოვნებით, სიამოვნებით!

მამაჩემმა ვაჟას მკლავში ხელი გამოსდო, [illegible] ხელ-პირი დაბანინა და ბაღში შეიყვანა.

ვაჟამ პატარა ბაღი დაკვირვებით დაათვალიერა, კარგად მოვლილი მწვანილეულის კვლები მოეწონა და თქვა:

— აქ დაჯდომას რა სჯობია, ხელში ქართული პურის ყუა გეჭიროს, ამ ქონდრის წიწმატს ან მწვანილეულის თვალმარგალიტს — გემრიელ ტარხუნას სწვავდე და პურის ლუკმას აყოლებდე, თან ყელის გასასველებლად შინი ვენახის [illegible] აყოლებდე, მეტი რა უნდა მუშა კაცს.

ვაზის ხეივნის ჩრდილ სანიავოდ გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. მამამ ორნახადი ჭაჭის არაყი წელგამოყვანილ და [illegible] ჭიქებში დაასხა. ჯერ თვითონ დალია, გადაჰკრა, მეორე ჭიქა ვაჟას მიართვა.

ვაჟამ ხშირ შავ თმაზე ხელი გადაისვა, ულვაშები გადაიგრიხა, წვერზე ხელი ჩამოისვა, ფეხზე წამოდგა და თქვა:

— იმრავლე და იხარე, ძმაო გიორგი, ყოველგვარი სიკეთე არ მოაკლდეს შენს ოჯახს!

ორნახადით გაჯერებული ჭიქა გამოცალა, ტარხუნა და წიწმატი ერთად დააყოლა, ლუკმა შეატანა და [illegible].

— იდ, ეს კარგი მადის გამხსნელი წამალი იყო, გიორგი.

დედამ ხევსურულ [illegible] მომწვარი [illegible] ტაბაკები მოგვიტანა და [illegible] ჩამოგვირიგა.

ტაბაკას რომ მოვულხინეთ, დედამ ახლა შამფურზე აგებული, [illegible] ბატკნის სურნელოვანი მწვადი მოგვაშველა. მისმა სასიამოვნო სუნმა ხელახლა აღგვიძრა ჭამის [illegible].

მამამ [illegible] ხელადა მოიმარჯვა, მოზრდილ ყანწს ხელი წამოავლო და რაკრაკით გადმოფენილმა ლამისყანურმა [illegible] წყურვილი მოუკლა.

— პატივცემულო ვაჟა, ხომ მოგეხსენებათ, ბატკნის მწვადს ღვინო თუ არ დააყოლე, გემო არა აქვსო!

კარგა [illegible] ვიმხიარულეთ. ვაჟამ ბოხი, სასიამოვნო ხმით ფშაური სიმღერა წამოიწყო და ჩვენც აჰყვა. იმ ღამეს, სახლის გვერდით, დიდი ხეების ტოტებქვეშ მოისვენა.

მეორე დღეს რიგრიგზე ჩოხა-ახალუხ- [illegible]

[illegible] ფრა გამოდის. მოხარშული ხორცი ბლომად დაყარეს. [illegible] და ლუდი ბევრი მოიტანეს, გვერდით მოზრდილი ყანწები დაულაგეს და თამადად ჩვენი გამხიარულებული ვაჟა დაისვეს. სუფრა ხონჩებსა და ტაბაკებზე დახვავებული ფშაური ხინკლებით გაივსო.

კარგად რომ შევნაყრდით, მამამ, მასპინძლებისა და ვაჟას წინაშე პატივება მოითხოვა, [illegible] შევსებული ყანწი აიღო და თქვა:

— პატივცემულნო, დუშეთს თვალნათლივ მინდა ჩავიდე და ნუღარ დამაყოვნებთ. ლოცვა-კურთხევა ნუ მოაკლოს ამ ოჯახს, იმრავლეთ და იხარეთ ყველამ.

მამამ ყანწი გამოიცალა და წასასვლელად მოემზადა, ვაჟაც წამოდგა და სავსე ყანწით ფშაველების ოჯახი დალოცა. ვაჟამ ნათხოვარ ცხენს ხურჯინი მოხსნა, მხარზე გადაიკიდა. ჩარგლისაკენ გზას ფეხით გაუდგა. ჩვენ კი ცხენებით გამოვწიეთ დუშეთისაკენ.

არჩილ კორინთელი

პოეზიისა და პოეტის შესახებ

რატომღაც უხერხულად იგულება ლაპარაკი ამ წერა ამხანაგზე. ახლავე ვაღიარებ, რომ ქართველი პოეტი რევაზ მარგიანი ჩემი ამხანაგია, მე ვიცნობ მის ოჯახს, მისი პოეზია და მისი ოჯახიც. მისი პოეზია იმიტომ კი არ მიყვარს, რომ იგი ჩემი მეგობარია და ძვირად ვაფასებ ამ მეგობრობას, არამედ იმიტომ, რომ ეს პოეზია ჩემთვის ახლობელი და ჩემი [illegible].

რევაზ მარგიანს აქვს ადამიანებთან [illegible] და [illegible] მოეპოვება და [illegible]. ის ცხოვრებაა კაცია, გულისხმიერი და [illegible], თვალსაჩინო და მღელვარე, ერთი სიტყვით, დაჯილდოებულია იმით, რასაც ტალანტს ეძახიან.

მაგრამ ეს ცოტაა დიდი შემოქმედებისათვის. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ნიჭი [illegible] და თავის ნაჭუჭში ჩაიკეტება. მარგიანი მუდამ [illegible] ხოლმე. იზრდება, მაგრამ [illegible]

რევაზ მარგიანმა მაშინვე მოგვხიბლა სვანეთის უჩვეულო ბუნებით, [illegible], მთიელთა კეთილი ხასიათებით, თავისი ლექსების ხალისიანობითა და გულუხვიანობით. მან მოსავლის [illegible] დღესასწაულზე მიიპატიჟა ჩიტები, უმღერა კალოებს, შემოდგომის სიუხვეს, აღიდა ადამიანი და მისი [illegible] შრომა. მისი ლექსები სულს ახარებდა და ათბობდა.

მაგრამ ეს დასაწყისი იყო.

მე ვუბრუნდები უკვე თქმულს — ეს ცოტაა შემოქმედებისათვის. [illegible]

[illegible] ზაბოლოცკის, ვ. ბოკოვის, ვ. სოკოლოვის, ვ. ტუშნოვას, ბ. შუპინის, ვ. ზვიაგინცევას, ე. ევტუშენკოს სახელები. სიტყვის ყველა ამ ოსტატმა გულითადი ყურადღება გამოიჩინა რევაზ მარგიანის შემოქმედებისადმი, ღირსეულად და ფრთხილად თარგმნა მისი ლექსები, რუსულ ენაზე „გაახმოვანა" ისინი.

„ეს დიდი წიგნი მთელი გზაა. მასში [illegible], მზე, სიყვარული, მოგონებები. მასში ბევრი ადამიანია — მიყვარს მე სწორედ ასეთი პოეზია: ვკითხულობ ამ წიგნს, ვხვდები ნაცნობს და ახალს და ყოველივე ამით ვეცნობი ცხოვრებას, [illegible] გზას. ყოველივე ეს ჩემთვის ახლობელი და [illegible] [illegible]

[illegible] ლი, რადგან სიკვდილს უცქეროდა ჩემი ჩანგური"), არამედ სხვა. ამ პოეზიამ [illegible] არც დროის [illegible] და არც ხალხის ამოცანები. მე უკვე არ ვლაპარაკობ იმ „ახალგაზრდებზე", რომლებმაც დაიწყეს [illegible] საზოგადოებრივი ინტერესისა და იოლი ინტიმურობის ინტერესისა.

ახლა ჩვენს ახალგაზრდულ პოეზიაში იგრძნობა ძლიერ განვითარებული [illegible] და სილამაზე, ემოციურ ძალას მოკლებული, [illegible]

მიხეილ ლუკონინი

(„ზარია ვოსტოკა", 11. VII 65 წ.)

ვოლფგანგ ბორხერტი

„თოვლი, თოვლი, თოვლი"

ამ მწერლის მოკლე ტრაგიკული ბიოგრაფია ძალიან ბევრს ჰგავს მთელი ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ მისებრ მძაფრად, თუ შეიძლება ითქვას, მისებრ ნერვულად ბევრს არ შეუგრძვნია თავისი დროის საშინელება და სისასტიკე. ბორხერტი იყო ერთ-ერთი იმ [illegible], რომლის სიცოცხლე „ძლევამოსილმა" „მესამე რაიხმა" მძვინვარე ქარიშხალში მოხვედრილი გემივით დაამსხვრია.

იგი ძლიერ ახალგაზრდა იყო — დაიბადა 1921 წელს. ბავშვობაში პოეზიის სიყვარულით სუნთქავდა, რომ [illegible], ფაშისტთა [illegible] და [illegible] ჯერ კიდევ [illegible], რომ ომის მომაკვდინებელ გზას გაუდგნენ.

ომმა გამოაფხიზლა და, [illegible] დააპატიმრეს. დაავადებული პოეტი საავადმყოფოში იწვა და მოთხრობებს სწერდა „დაკარგული თაობის" მწარე ხვედრზე. მის ერთადერთ პიესაზე, რომელიც 1947 წელს ჰამბურგის თეატრში დაიდგა, ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა თქვა: „ეს პიესა დაკარგული თაობის რეკვიემიაო", ხოლო გარდაცვალების შემდეგ (ბორხერტი გარდაიცვალა 1947 წლის 20 ნოემბერს), „დაკარგული თაობის" ერთ-ერთი წარმომადგენელი პროზაიკოსის დედას სწერდა: „ჩვენ უკვე აღარაფერი დაგვრჩენია ამ ქვეყნად. მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენს ირგვლივ გამეფებული სიცარიელე კიდევ უფრო უსასრულო გახდა. მართალი ნათელი, რომელმაც სიბნელე მხოლოდ წამით გაანათა, ჩაქრა. ღამე ჩამოწვა, წინანდელზე [illegible] ღამე". ასეთი იყო 26 წლის ჭაბუკის სულის ძახილი. მან იმდენად გაუგო თავის დროს, მეგობრებსა და თანამემამულეებს, რომ მისი სტრიქონებისადმი გულგრილი არავინ დარჩენილა. ვოლფგანგ ბორხერტმა, რომლის ლიტერატურული პროდუქცია არც თუ ძლიერ დიდია, ყოველი ქვეყნის ადამიანის გული დაიპყრო, მოიპოვა სულ სხვადასხვა რწმენისა და ბედის ადამიანების თანაგრძნობა.

იგი საშინლად განიცდიდა ადამიანების ბედს, იმ ადამიანებისას, რომლებიც ღამე შინ ვერ ბრუნდებიან და იძულებული არიან ხიდთან გაატარონ ღამე („საღამოთი ყველანი შინ მიდიან"). მართალია, ამ ადამიანებს ჯარისკაცის ფორმა აცვიათ, მაგრამ როგორ [illegible] ისინი ომს, როგორ [illegible] განუწყვეტელ მარშებს, კაცისკვლის საშინელებას. საბრალო ბიჭია ტიმი. იგი [illegible] სარეცელში ახალგაზრდა ქალს, საბოლოოდ კი [illegible] თა გამოერთმევა. ტიმისა და მისი მეგობრის დიალოგში ვგრძნობთ მწარე [illegible] იმ ადამიანებისას, რომლებიც [illegible] არიან ოჯახურ სითბოს და ალერსს, ჯარისკაცული მაზარის [illegible] და ოჯახებში წასვლას. [illegible] ავტორის მოთხრობის [illegible] „საღამოთი ყველანი შინ მიდიან". ადამიანები კი იძულებული არიან ქუჩაში [illegible] და იფიქრონ ლამაზ გოგოზე, რომელსაც ჰქვია ლილი.

[illegible] გავიხსენოთ მოთხრობა „ბილბრუჯი". ეს არის საოცრად მძაფრი და ამავე დროს გონიერი ადამიანის თვალით დანახული ომი. ან მოთხრობა „იქნებ მას ვარდისფერი პერანგი აცვია", რუსეთთან ომში დაწამებული ორი მეგობარი ხიდის მოაჯირზე ჩამომჯდარა ([illegible] რუსეთში ომმა") და იმაზე ფიქრობენ თუ რა ფერის პერანგები აცვიათ ქალიშვილებს. მათ ხომ წლების განმავლობაში არ დაუნახავთ ქალი, მათ ხომ [illegible] ზარბაზნების გრუხუნი ესმოდათ, და განუმეორელ მეგობრებს ასამარებდნენ.

ბორხერტი სწერს ომისაგან გაწამებულ ჯარისკაცებზე, პატარა ბავშვებზე, ომის საშინელებაზე, მოუწოდებს ადამიანებს იყვნენ ფრთხილად, რომ კიდევ არ განმეორდეს ტრაგედია.

ვ. ბორხერტის მოთხრობები გერმანულიდან თარგმნა ზ. ჩხენკელმა (რედაქტორი ო. ჯინორია). ამ მოთხრობების თარგმნით ზ. ჩხენკელმა კარგი საქმე გააკეთა, რადგან მკითხველს მიაწოდა ნიჭიერი გერმანელი მწერლის ომის ტანჯვაში ნაშობი მართალი სიტყვა.

გურამ ბათიაშვილი

---

* ვ. ბორხერტი, „თოვლი, თოვლი, თოვლი", გამომცემლობა „ნაკადული", 1965 წ.

მკითხველის თვალით

[illegible] ლექსი მალე ხიბლავს ლექსებისადმი ხშირად გულგრილ მკითხველსაც კი, ხელმეორედ გადაკითხვინებს ხოლმე თავს და სამუდამოდ ისადგურებს მის გულში.

ასეთ ლექსებში ხშირად სიტყვები თითქოს ჩვეულებრივი და უბრალოა, არც რითმებშია რამე განსაკუთრებული, მაგრამ რაღაც იდუმალებით, მკითხველს მაინც იპყრობს. პოეტის ნიჭის ძალაც სწორედ ეს არის.

პოეტ ნოდარ შამანაძის [illegible] წიგნში — „სულმა სულში ჩაიხედა" — ბევრია ასეთი ლექსი.

ნოდარ შამანაძის ლექსები მკითხველს ხიბლავს სინამდვილის უშუალო განცდით; ამ ლექსებში ისეთი [illegible] დახატული, რომელიც თითქმის ყველას განუცდია.

[illegible] თუნდაც ლექსი „უნდა განახოთ", რა უბრალოდ და, ამასთან, რა ოსტატურად, მკაფიოდ და ცოცხლად წარმოუდგენს მკითხველს თვალწინ ბებიას. ბებიები კი, თითქმის ყველანი, ისეთი კეთილნი და საყვარელნი არიან შვილიშვილისთვის, როგორც ამ ლექსშია დახატული.

ნოდარ შამანაძე კარგად ხატავს პოეტურ პორტრეტებს. იგი რამდენიმე სტრიქონით მშვენივრად აღწერს პოეტ გიორგი [illegible] და პროფესორ ნიკო კეცხოველის სახეებს (ლექსები „სამი მზე მოვიდა" და „ნიკო კეცხოველს").

სიყვარულის გულწრფელი და ამამაღლებელი გრძნობა უბრალოდ და ბუნებრივად არის მოცემული „სიყვარულის ბალადაში".

ნოდარ შამანაძე მშვენივრად ხატავს [illegible]. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები „მთას ხურავს შუქის ჩაჩქანი" და „დილის სანახებში".

ცაში არწივი ბორიალობს უშიშრად,
ქვემოთ ხმაურით [illegible] ნაკადი;
ქარაფს ყაყაჩო დაუსვამს ბუხლზე
და შეუმოსავს წითელ ფარჩით.

ამ ერთ სტროფში მთელი დასრულებული პეიზაჟია, პოეტის მიერ უშუალოდ განცდილი და [illegible].

მშვენიერი მიმზიდველი გრძნობა ოსტატურად არის გადმოცემული ლექსში „კიდევ [illegible]", რომლითაც მთავრდება ეს პატარა წიგნი.

ამ წერილის მიზანი არ არის ნოდარ შამანაძის ყველა ლექსის ანალიზი. მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი მკითხველი, მსურდა ჩემი სიხარული გამეზიარებინა იმ სიამოვნების გამო, რაც ამ პატარა წიგნმა განმაცდევინა.

გიორგი ავალიანი

უმართებულოდ დავიწყებული

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მესამე ნომერში დაბეჭდილია საგულისხმო წერილი „ხელოვანის გზა", ავტორი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ გამოჩენილი რეჟისორის ა. წუწუნავას დიდი ამაგი სათანადოდ არ არის შესწავლილი და შეფასებული.

საჟურნალო წერილში ძნელია ქართული თეატრის ამ დიდებული მოამაგის მთელი შემოქმედების განხილვა და ჩვენ ამას არც ვისახავთ მიზნად. მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მის მიერ ქართული ოპერის თეატრის სცენაზე დადგმულ ოპერა „დაისის" ისტორიაზე.

რა მიზეზის გამო მოხსნეს ამ თეატრის სცენიდან სახელოვანი ხელოვანის ა. წუწუნავას სპექტაკლი „დაისი", მისი რეჟისორული შემოქმედების ეს ბრწყინვალე ქმნილება, მაშინ, როდესაც მისი მომდევნო დადგმა ვერ ადის თავისი წინამორბედის რეჟისორულ და მხატვრულ დონეზე?

1937 წელს მოსკოვში, ქართული ხელოვნების დეკადაზე უჩვენეს ა. წუწუნავას მიერ 1936 წელს დადგმული ოპერა „დაისი", რასაც ბრწყინვალე წარმატება ხვდა.

მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, მოსკოველმა კრიტიკოსებმა საუკეთესო შეფასება მისცეს ზ. ფალიაშვილის მუსიკას, მსახიობთა ბრწყინვალე თამაშს და მათს ვოკალურ შესრულებას, მხურვალედ მიესალმნენ ქართველ მსახიობებს: დ. სოხაძეს, პ. ამირანაშვილს, ნ. ქუმსიაშვილს, ნ. ცომაიას და დიდი აღტაცება გამოთქვეს დირიჟორ ე. მიქელაძის, რეჟისორ ა. წუწუნავას და მხატვარ ს. ვირსალაძის ნამუშევრის გამო. გამოჩენილი საბჭოთა მუსიკათმცოდნე, პროფესორი ივანე ბრაუდო გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსსტვოში", „დაისის" შესახებ წერდა:

„ქართული დეკადა გაიხსნა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისით", ეს ოპერა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ქართული საოპერო მუსიკის მწვერვალად. ხოლო მისი ავტორი თამამად შეგვიძლია დავაყენოთ უდიდესი მასშტაბის მუსიკოსების გვერდით...

„დაისის" პარტიტურა აგებულია ხალხურ მოტივებზე. ჩვენმა მუსიკოსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ნაწარმოების ოსტატობას.

ზ. ფალიაშვილს ხშირად ქართულ გლინკას უწოდებენ. ეს შედარება უდავოდ სწორია, მაგრამ სრული არ არის. გლინკასთან ფალიაშვილს აახლოვებს განსაცვიფრებელი მელოდიურობა, ცოცხალი სიყვარული ხალხური სიმღერებისადმი, მიდრეკილება რომანტიკისადმი. „დაისი" რომანტიკული ოპერაა, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. იგი რომანტიკულია თავისი შინაარსით (მაროს და მალხაზის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია).

„დაისში" იგრძნობა უდიდესი კულტურა, რომლის საფუძველია ხალხური ხელოვნების ღრმა შესწავლა, მთელი ოპერის საუკეთესო ნიმუშებისა და მეტადრე რუსული მუსიკალური ხელოვნების ცოდნა.

„დაისი" მდიდარია ნათელი მუსიკალური მომენტებით, რაოდენი პლასტიკური სილამაზეა ამ ოპერის მელოდიებში, რთული რიტმული სიწრფე, ცოცხლოვანი მოძრაობები — მის გუნდებსა და ცეკვებში. სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ უცხოელმა კომპოზიტორმა ვერ შეძლო ასე ნათლად გადმოეცა მუსიკაში ქართული ცეკვის ხასიათი.

ახლებურია და დამაჯერებელი მალხაზის პირველი არია, დაწერილი ხალხური სიმღერის „ურმულის" მიხედვით, რომელიც უაკომპანიმენტოდ სრულდება. რა მგრძნობიარეა მაროს ტირილი მე-3 მოქმედებაში, რომელიც აგრეთვე აგებულია ხალხური სიმღერის მოტივებზე. ან რაოდენ მხიარულია გუნდი პირველ ორ მოქმედებაში!

ვოკალური საწყისი მთავარია „დაისში". არ შეიძლება არ აღინიშნოს ოპერის მშვენიერი საორკესტრო ფაქტურა. შესანიშნავია პირველი მოქმედების შესავალი. ცეცხლოვანი ცეკვა „ქართული" თუ დასასრული მესამე აქტისა, სადაც კლასიკური სამგლოვიარო მუსიკა გადადის დიდებულ გმირულ დასასრულში, — ცეკვადური ეს საუკეთესო ფურცლებია მთელი საოპერო ხელოვნებისა.

თბილისის საოპერო თეატრის პირველმა სპექტაკლმა გვიჩვენა, რომ ამ დასს შეუძლია გადაწყვიტოს რთული მხატვრული ამოცანები. უდიდესი ძლიერებისაა გუნდი, ბრწყინვალე ქორეოგრაფიული კოლექტივი, შემსრულებელთა ვოკალური ხელი — ყველა ეს მოწმობს ქართველი მსახიობების დიდ ოსტატობას. საყურადღებოა აღინიშნოს რომ ორკესტრი გადმოსცემს ლამაზ, მდიდარ ბგერებს, ცოცხალ კონტრასტებს სიზუსტესა და სიწმინდესთან ერთად. მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი დირიჟორი ე. მიქელაძე შესანიშნავი მუსიკოსია. პარტიტურის გაგება არის ნიმუში ნაწარმოებისადმი მისი დიდი სიყვარულისა და ფაქიზი დამოკიდებულებისა.

შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ განსაკუთრებული ვოკალური შესრულების ქართულ სტილზე? ჩვენი აზრით, უდავოდ შეიძლება. ეს სტილი გაცდენთილია ფერადობით. ამასთან მასში ბევრი თავისებურებაც არის: მოძრაობების სიწრფე, ცალკეული ფრაზების ხაზგასმითი სკანდირება და სხვა.

ამ სტილის საუკეთესო ნიმუშია კიაზოს პარტიის შემსრულებლის პ. ამირანაშვილის გამოსვლა. ასეთ ძლიერ, მოქნილ, გამომსახველ ხმას იშვიათად თუ შეხვდებით საოპერო სცენაზე. ამირანაშვილი მართლაც მომღერალი რინდია. ნიჭიერი არტისტია. მან სავსებით ნათლად გადმოსცა მამაცი მეომრის ცხელი განწყობილება. შესანიშნავად მღერის და თამაშობს საქართველოს დამსახურებული არტისტი დ. სოხაძე. ის გამოხატავს ქალს, რომელსაც ერთნაირად ამაღლებს სათუთი ლირიკის გრძნობა და ძლიერი ნებისყოფა. მაროს სახე დიდხანს რჩება გონებაში. დამსახურებულმა არტისტმა ნ. ქუმსიაშვილმა რინდებულად იმღერა ცნობილი არია პირველი მოქმედების ბოლოს. სუსტად სასიკვდილოდ განწირული ქამუკაა, რომელიც გრძნობს მის გარდუვალობას, უკიდურესი ხიბლით იქნა გადმოცემული ამ არტისტის მიერ. მოხუცი ცანგალას როლი ცოცხლად და დამაჯერებლად შეასრულა ქ. ხამაშურიძემ. არტისტმა ნ. ცომაიამ შექმნა ნაზის გამომსახველი სახე. რეალიზმისაკენ სწრაფვა და ხალხური ხასიათის გამოხატვის არაჩვეულებრივი სიცხადე საერთოდ განასხვავებს „დაისის" დადგმას.

მქუხარე ოვაციები გამოიწვია ქართულმა ცეკვებმა, რომლებიც სპექტაკლის არსებით ნაწილს შეადგენს. მართლაც რიტმული სურათი, მოქნილობის, პლასტიკური სილამაზისა და ფაქიზი იუმორის თვალსაზრისით ეს ცეკვები ხელოვნების არნახული ნიმუშებია.

ქართული პეიზაჟის მომჯადოებელი სილამაზე ახარებდა თვალს მხატვარ ს. ვირსალაძის დეკორაციებში. ოპერის დამდგმელმა სახალხო არტისტმა ა. წუწუნავამ ამ სპექტაკლში ბრწყინვალე ოსტატობა გამოამჟღავნა. ამოცანა მეტად რთული იყო. საჭირო იყო შექმნა სხვადასხვა ჟანრისაგან შემდგარი მონუმენტური კომპოზიცია (სოლისტები, გუნდი, ბალეტი). ეს ამოცანა სპექტაკლის მონაწილეებმა ბრწყინვალედ გადაჭრეს დამდგმელი რეჟისორის ხელმძღვანელობით. მოსკოველი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა ამ მშვენიერად შესანიშნავ სპექტაკლს".

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დიდი რეჟისორის ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს აღფრთოვანებას, მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე დადგმულ სპექტაკლების გამო.

აი რას წერს იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" 1937 წლის 8 იანვრის ნომერში: „ძნელია კაცმა შეაფასოს მნიშვნელობა ისეთი სპექტაკლებისა, რომლებიც გვიჩვენა ახლახან მოსკოვში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა. ეს სპექტაკლები დიდ კულტურულ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს და სერიოზული მიღწევაა მუსიკალური ხელოვნებისა და საერთოდ მთელი საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის".

დიდმა რეჟისორმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ და პროფესორმა ბრაუდომ კარგად შენიშნეს და ღირსეულად შეაფასეს „დაისის" დადგმის უდავო ღირსებები.

თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ქმნილებებს ჩვენში სათუთად ეპყრობიან და ბევრს აკეთებენ მათი შემოქმედების მარადიული სიცოცხლისათვის. სამწუხაროდ, დღეს ამას ვერ ვიტყვით ა. წუწუნავას მემკვიდრეობის მიმართ.

ქართული თეატრის ისტორიაში ა. წუწუნავას ძვირფასი ღვაწლი მისი უკვდავი მემკვიდრეობა, ოპერების — „დაისის" და „ქეთო და კოტეს" დადგმებია. ამ დადგმების დიდი მხატვრული მნიშვნელობა საეჭვო არ არის. ჩვენი ვალია გაუფრთხილდეთ გამოჩენილი რეჟისორის საუკეთესო მემკვიდრეობას და შევინარჩუნოთ ის მომავალ თაობებს. საჭიროა ვიზრუნოთ ა. წუწუნავას ამ სპექტაკლების უახლოეს ხანში აღდგენისათვის.

ვაჟა ჩინჩალაძე.

ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

ქოლგის ქვეშ.

ფოტოეტიუდი ხ. მამასახლისისა.

ქართული მედიცინის საკითხები XVIII საუკუნის ფრანგულ რომანში

ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ყვავილის აცრის საშუალებები, რასაც საქართველოში ადრევე საუკუნეებში ფლობდნენ, ევროპულ სწავლულთათვის მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში გახდა ცნობილი და აღწერილია იმ დროს გამოცემულ ნაშრომებში (იხ. მ. სააკაშვილი, „რას მეტყველებენ ფაქტები" „ლიტერატურა და ხელოვნება" 1949, № 47).

ამ ფაქტის დადასტურებას ვხედავთ ერთ ფრანგულ რომანში, რომლის სათაურია „აბდეკერი ანუ როგორ შევინარჩუნოთ სილამაზე". რომანი გამოცემულია მე-18 საუკუნის შუახანებში, 1748 წელს. მაშინ ნაწარმოები ანონიმურად გამოვიდა — ავტორის გვარი არ ეწერა, მაგრამ ახლა უკვე დადგენილია, რომ იგი ეკუთვნის იმ დროისათვის საფრანგეთში ცნობილი ექიმის ანტუან ლე კამიუს კალამს. ანტუან ლე კამიუ ავტორია რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოებისა და სამედიცინო საკითხებზე დაწერილი შრომებისა. ამ რომანის დიდაქტიკური ხასიათი ხაზგასმულია თვით შესავალ ნაწილში. მისი მიზანია ერთგვარი სარეკლამო მოთხრობა — იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ ქალებმა სილამაზე.

ამ რომანის ფაბულა უბრალოა და არ არის დატვირთული სათავგადასავლო ინტრიგებით. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია არაბი ექიმი აბდეკერი. მან თავის სამშობლოში სახელი გაითქვა და ახლა სხვა ქვეყნებში მოემგზავრება ცოდნის გასამდიდრებლად. აბდეკერი კონსტანტინოპოლში გაჩერდება შემდეგ დაავადებულ თვით მოჰამედ მეორეს. შემდეგ მან მეფის ჰარემში და სულთნის მეუღლეს უმკურნალოს. ჰარემში აბდეკერი გაიცნობს ქართველ ქალს — ფატმას, რომელიც ძალზე მოეწონება. ექიმი ისარგებლებს სულთნის გამგზავრებით, ხშირად ხვდება ფატმას და მოიხიბლავს მას. ახალგაზრდა ექიმი რჩევა-დარიგებას აძლევს ფატმას, როგორ შეინარჩუნოს სილამაზე და ჯანმრთელობა. რომანის მთელ რიგ თავებში აღწერილია, თუ როგორ უნდა მოვუაროთ სიმშვენიერეს და სიჯანსაღეს.

რომანის დასასრულს მოულოდნელად ირკვევა ფატმას წარმოშობის საიდუმლოება, იგი მოჰამედ მეორის და აღმოჩნდება. ამის გარკვევამდე კი მან, ფატმამ გულის მოსანადირებლად, საკუთარი ცოლი სიკვდილით დასაჯა. როცა სულთანი გაიგებს, რომ ფატმა თავისი და ყოფილა, სიბრაზისაგან მზად არის სიკვდილით დასაჯოს ფატმაც. სულთნის ბრძანებით ფატმას საწამლავს დაალევინებენ, მაგრამ აბდეკერის მოხერხებით ფატმა გადარჩება. ახალგაზრდა ექიმი მოისყიდის დარაჯებს და „მიცვალებულ" ფატმას სასახლიდან გამოიყვანს. რომანის შემდეგი ეპიზოდები იტალიაში ვითარდება, სადაც ფატმა და აბდეკერი ქრისტიანობას მიიღებენ და, ბედნიერად ცხოვრობენ.

რომანში საქართველო მოხსენებულია მხარედ, რომელშიც „ფატმა აღიზარდა", მხარედ, „რომელშიც ქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალები იბადებიან და სულთნის საჭურისები ეძებენ მათ სულთნის ჰარემების დასამშვენებლად". რომანში ნახსენებია სამეგრელო. თვითონ ფატმა აღიზარდა ქუთაისში, ავტორს ქუთაისი საქართველოს მთავარ ქალაქად მიაჩნია. თბილისი ნახსენებიც არა აქვს და მისი ცნობები საქართველოზე მეტად სქემატური და ზედაპირულია.

გაცილებით საინტერესოა ცნობები საქართველოზე, რომლებიც რომანის ფაბულაში კი არ გვხვდება, არამედ რომანის სამედიცინო ნაწილში, და, რომელშიც აღწერილია ყვავილი და მასთან ბრძოლა: აბდეკერი თავის მშვენიერ მსმენელს „ეუბნება, რომ საქართველოსა და ჩერქეზეთში მონახეს საშუალებები, რომლითაც სისხლში შეჰყავთ ამ ავადმყოფობის აღმძვრელები, რითაც ყვავილი ნაკლებ საშიშია, და შესაძლებელი ხდება თავი აარიდოთ ადამიანის დამახინჯების შემთხვევებს. ავტორის სიტყვებით ყვავილთან ბრძოლის სისტემა სწორედ აქედან გადაიტანეს კონსტანტინოპოლში მე-18 საუკუნის დამდეგს. შენიშვნებში მოცემულია ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოში იყენებდნენ და რომლებიც კანში წამლის შეყვანით ხორციელდებოდა. ხელოვნურად შექმნილი წყლული იწვევს ტემპერატურის აწევას, შემდეგ იგი ქრება და ადამიანს აღარ ელოდება დაავადების საშიშროება. სილამაზის შენარჩუნების იდეით გატაცებული ლე კამიუ დასძენს: „ეს საშუალებები ქართველებმა იმიტომ მოიგონეს, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ქალიშვილების სილამაზე, რომლებიც სპარსეთისა და თურქეთის ყველაზე ძლიერი გამგებლების ჰარემებს ამშვენებენ".

ეს რომანი გვიჩვენებს, რომ მე-18 საუკუნის ევროპაში ყვავილის აცრის საიდუმლოება მხოლოდ მეცნიერთა ხელში არ იყო, იგი ფართო მკითხველისათვის დაწერილ რომანშიც იქნა გამჟღავნებული.

ნატალია ორლოვსკაია



მხატვარი.

ფოტოეტიუდი ხ. კილაძისა.

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

ფ. დოსტოევსკი — იდიოტი. თარგმანი რუსულიდან [illegible]. რედაქტორი — [illegible], მხატვარი — [illegible]. გვ. 643, ფასი 1 მან. 6 კაპ.

ოტია იოსელიანი — ნოველები, ვარსკვლავთცვენა. რედაქტორი [illegible], მხატვარი — თ. მირზაშვილი. გვ. 483, ფასი 80 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

კონსტანტინე გამსახურდია — მთვარის მოტაცება. თარგმნილი რუსულად, რედაქტორები — მ. ზლატკინი და ვ. მეჟევიჩი. მხატვარი — [illegible]. გვ. 581, ფასი 1 მან. 21 კაპ.

სანდრო შანშიაშვილი — ტყის ქურდი. რედაქტორი — [illegible], მხატვარი — [illegible]. გვ. 385, ფასი 83 კაპ.

ვართან ატრიანი — ცხოვრების ზღაპარი. რედაქტორი — [illegible], მხატვარი — [illegible]. გვ. 212, ფასი 54 კაპ.

ლადო მეხტრიშვილი — მზე მიდის ინდოეთს (ლექსები). რედაქტორი — [illegible], მხატვარი — [illegible]. გვ. 56, ფასი 9 კაპ.

ფილიპინელი და ლოთი

უილიამ საროიანი

◆

ამ მთვრალს, აქლემის ყავისფერ ქურქში გამოწყობილ ყმაწვილს არ ჰქონია რაიმე წინასწარი განზრახვა. იგი მთვრალი იყო. მან უცებ აითვალწუნა კოხტად ჩაცმული ფილიპინელი ბიჭი და მოსვენებას აღარ აძლევდა, უეხმებოდა, უკან გაბრუნ-

შენ არა გაქვს უფლება გამოიყენო იგივე ადგილი, რასაც იკავებს თეთრი ადამიანი, გესმოდა, თორემ შენთვის [illegible] კარს".

„წადით", — უთხრა ბიჭმა.

ლოთმა კარს ხელი დაუწყო.

„როდისმე ხომ გამოჩნდები, — თქვა მან —

დი, ოფიურ ხალხში ნუ გაერევი. ისინი ელოდებოდნენ გემს, რათა ოკეანთან გადაეჭრათ ყურე. ის მთვრალი რომ არ ყოფილიყო, ვერც ვერავინ შეამჩნევდა, მაგრამ ახლა კი დიდი აურზაური მოჰქონდა მოსაცდელ ოთახში და თუმცა ფილიპინელის მიმართ ყველას სიმპათია ამჟღავნებოდა, ეშველა თავის მეზობლებს არავინ აპირებდა. საბრალო ფილიპინელს სულ უფრო და უფრო ეშინოდა მისი.

იგი ხალხში იდგა, ლოთი კი მუჯლუგუნებით იკვლევდა მისკენ გზას და ეუბნებოდა — მე გითხარი, წადი აქედან მეთქი, წადი აქედან! მე 24 თვე ვიბრძოდი საფრანგეთში, მე ნამდვილი ამერიკელი ვარ, არ მსურს, რომ შენ აქ, ამ თეთრ ხალხში იდგე.

ბიჭი სხარტად და ზრდილობიანად ნამოქცეულებოდა ხოლმე ლოთს და სწრაფად გაერეოდა შეჯგუფებულ ხალხში. იგი არაფერს უპასუხებდა და ცდილობდა რაც შეიძლებოდა თავაზიანი ყოფილიყო. ათასჯერ ხვრას მიმართავდა თავის დასაძვრენად, მაგრამ ლოთი ზარმაცით დაედევნებოდა უკან და, რაც დრო გადიოდა, ლოთის სიძულვილი სულ უფრო იზრდებოდა. მან ბიჭს ლანძღვა დაუწყო. იგი სულ იმეორებდა: თქვენი ყმაწვილები ყველაზე უკეთ იცვამენ სან-ფრანცისკოში, ფულს კი მეძავთა რეკეტით შოულობენ, თქვენ არა გაქვთ უფლება ასეთი კარგი ტანსაცმელი გეცვათ.

იგი დილისას ილანძღებოდა. მანდილოსნებმა ყურებზე ხელი აიფარეს.

როდესაც დიდი კარი გაიღო, ფილიპინელმა ბიჭმა თავს უშველა, სწრაფად გაძვრა ხალხში და გემზე პირველი ავიდა. მან მიირბინა კუთხეში, წამის რაღაც მეასედში ხავშზე ჩამოჯდა, მერე ისევ წამოხტა და დასამალავად საიმედო ადგილს დაუწყო ძებნა. ლოთი უკვე გემის მეორე ბოლოში იყო. ბიჭს ესმოდა მისი ლანძღვა-გინება. მიიხედ-მოიხედა, საპირფარეშოში შევარდა და ერთ-ერთ განყოფილებაში ჩაიკეტა.

ლოთი საპირფარეშოში შევიდა და ყველას ეკითხებოდა ნახეთ თუ არა ბიჭი. ის ამბობდა, მე ნამდვილი ამერიკელი ვარ, ორჯერ დავიჭერი იმშით.

საპირფარეშოში ის ისევ ხმამაღლა იგინებოდა. ოღონდ — უფრო უშვერად. ის ძირს იხრებოდა და ყველა განყოფილების დახურული კარის ქვეშ იყურებოდა. მამაკაცებო, ეუბნებოდა სხვებს, ხოლო როცა იმ განყოფილებასთან მივიდა, სადაც ბიჭი იყო, ისევ დაიწყო ლანძღვა და ბიჭს ეუბნებოდა, გარეთ გამოეთრიეო.

„ვერ წამიხვალ — ეუბნებოდა იგი, — მე აქ დაგიცდი".

— წადით აქედან — უთხრა ბიჭმა — მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია.

მას ეგონა, რომ საპირფარეშოში ისეთი არავინ აღმოჩნდა, რომ ლოთი დაეწყნარებინა და იქიდან წაეყვანა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ იქ აღარავინ იყო.

— წადით აქედან, — გაიმეორა მან.

ლოთმა ლანძღვით უპასუხა, იგი აბჯღრუტუნა კარს.

კარს უკან ბიჭის გამწარება რისხვაში გადაიზარდა, იგი აცახცახდა. მას უკვე ლოთისა კი არ ეშინოდა, არამედ თავისი რისხვისა. ჯიბიდან დანა ამოიღო, გაუხსნა ბასრი პირი და ისე მაგრად ჩაბღუჯა ხელში, რომ ფრჩხილები ხელის გულში ჩაესო.

— წადით აქედან, — თქვა მან. — მე დანა მაქვს, მე არ მინდა უსიამოვნება.

ლოთმა გაიმეორა, რომ ის ამერიკელია და რომ 24 თვე საფრანგეთში გაატარა, ორჯერ დაიჭრა, ერთხელ ფეხში, მეორედ — თეძოში, რომ არ წავა აქედან, რომ არ ეშინია არცერთი ბინძური პირდაპირული დანიანი ფილიპინელისა. გამოზრძანდეს ფილიპინელი გარეთ, იგი ნამდვილი ამერიკელია!

— მე მოგკლავთ თქვენ, — უთხრა ბიჭმა, — მე არავისი მოკვლა არ მინდა, თქვენ მთვრალი ხართ, წადით აქედან, თუ შეიძლება, ნუ ქმნით უსიამოვნებას. — იგი გულწრფელად ლაპარაკობდა.

ბიჭს გემის მოტორის გუგუნი ესმოდა. იგი მის რისხვას ჰგავდა. ეს იყო გრძნობა დამცირებისა, გრძნობა იმისა, რომ მას სდევნიდნენ და აიძულებდნენ დამალულიყო. და ახლა მოუნდა თავისუფალი ყოფილიყო. თუნდაც სხვისი სიცოცხლის ფასად. მან კარი გააღო, ხელში დანა ეჭირა, სცადა კაცს ფეხებში გაძვრომოდა, მაგრამ ლოთმა ხელი სტაცა სახელოში და უკან შეათრია. პალტოს სახელო გაიხა. ბიჭი მობრუნდა და კაცს გვერდში დანა ჩასცა. მან იგრძნო, როგორ წამოვიდა დანა ნეკნს. ლოთმა უკან შეჰყვირა და ბიჭს ხელები წაუჭირა ყელში. ბიჭმა ზედიზედ დაარტყა კვერთში, როგორც მოკრივეებმა იციან ახლო ბრძოლის დროს.

როდესაც მთვრალს ლონე გამოელია და იატაკზე დაეცა, ბიჭი გაიქცა ოთახიდან. მას ხელში ისევ სისხლიანი დანა ეჭირა. ქუდი დაეკარგოდა, თმა ყელზე შეეფინა. სახელი ჩამოხეთ.

ყველამ იცოდა, რაც ჩაიდინა, მაგრამ არავინ ინძრეოდა.

ბიჭი გაიქცა გემისაკენ, იქნებ თავს ეუშველით, მერე უკან გამოიქცა. ვერავინ ბედავდა მისთვის ხმის გაცემას, თუმცა ყველასათვის ამჟღავნებოდა მისი დანაშაული.

გასაქცევი გზა არ იყო და ვიდრე გემის ოფიცრები მოვიდოდნენ, ბიჭი უეცრად შედგა და აყვირდა:

— მე არ მინდოდა რამე დამეშავებინა მისთვის, რატომ არ შემეშვა იგი? განა შეიძლება ცირთაგვაროთ სწორ ადამიანს? თქვენ იცოდით, რომ ის მთვრალი იყო, მე არ მინდოდა რამე დამეშავებინა მისთვის, მაგრამ არ მომეშვა, პალტო ჩამომხია და ჩემი დახრჩობა უნდოდა, მე ვუთხარი მას, რომ მოვკლავდი, თუ არ დამეხსნებოდა. ჩემი ბრალი არ არის, მე ოკლენდში ძმის სანახავად უნდა წავიდე. ის ავად არის. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვეძებდი უსიამოვნებას, როცა ძმა ავადა მყავს? რატომ არ შემეშვა იგი?

თარგმნა ციალა სოხაძემ.

ენის ფუნქციები

ენტანის სადისერტაციო ენათმეცნიერულ ნაშრომს ამზადებდა. თემის სათაური ასეთი იყო: „ენა როგორც საზოგადოების წევრთა ურთიერთობის იარაღი". ენტანტიამ პირადი გამოცდილების განზოგადება მოისურვა და სადისერტაციო ნაშრომში შემდეგი ქვეთავი შეიტანა: „ენა, როგორც ადამიანთა ხილვა-ლეკის იარაღი". ამ დებულების დასასაბუთებლად მან ბევრი იშრომა და ბოლოს ხელოვნებასაც მიადგა:

...„მსოფლიო ლიტერატურის შედევრები — „ოტელო" და „მაკბეთი", ამ აზრის საუკეთესო დადასტურებაა — გარეგნული ხერხით წერდა ახალბედა დისერტანტი. — არც ოტელოს მოკვლაში თავისი მეორე ნახევარი და არც არბენინს, ისინი აუგმა ენამ მოკლა. მეორე ნახევრებს პირველი ნახევრები მიჰყვნენ: ოტელომ თავს იკლავს, ხოლო არბენინი გიჟდება, (ეს კიდევ უარესი!) თავისთავად ცხადია, თორემ ეს ტრაგიკული შემთხვევა ავ ენას უნდა მიეწეროს.

შემდეგ საჭიროა აღინიშნოს, რომ შერისძიების ნიადაგზე შერის ჰია—იაგო თავის ცოლს კლავს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფალი იაგოს სიკვდილით დასჯიან, პიესის დასასრულს ოფიცნოლიდ დადგინდება ისიც, რომ კასიოზე თავდასხმის მონაწილე როდრიგო ორთაბრძოლაში იღუპება. ამრიგად, მარტო „ოტელოში" ენა ხუთ ადამიანს სპობს და ამის მიზეზი მხოლოდ იაგოს წუნკალი ენაა. ამიტომ ძირითადი ყალბია აზრი, თითქოს მარტო თანდებონა აღნიშნავდა ბირთვი ენის უდანაშაულო მსხვერპლი. რას გვეუბნება ზემოთქმული? იმას, რომ ენა მართლაც არის ადამიანთა ხილვა-ლეკის იარაღი. ამ დებულების უეჭველობას, სხვათაშორის, ისიც ასაბუთებს, რომ შუშხანი და ლერმონტოვი ირიფები რაღაცრატ მწერლები იყვნენ და, მაშასადამე, უნდა გვწამდეს, ბვერორთას მათი.

ორივემ ტყუილის საშინელება აგვიწერა და ამავე დროს თვითონვე იირუბენდნენ?

მაშინ იაგოზე ბევრად უარესები ყოფილან!

მაგრამ ასეთი აზრი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი და ამიტომ შეუძლებელია მათს ნაამბობში დავიჯერება. მკაცრის მეხსენებად, საჭიროა აქვე დავსძინოთ, რომ შეუძლებელია ითქვას, გითომ დასაჯერებელი ისტორია მხატვრულ ენას ჰგონებს და აცვენებს, როგორც ამას ზოგი გამოგონებული და ინტრიგის მოქმედი კრიტიკოსი ფიქრობს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ არაჩვეული ნაწარმოებები ასე გამოაშკარავებული არ იქნებოდნენ მკითხველზე. ან მაყურებელზე. პირიქით რომ „ოტელო" არის, ტრაგიკული დაბრუნება შინ, ასე მეგონა, თორემ ცხენივით დათოკებული ენა მოიხადოდა უკან... ცოტა და ცოლს კინაღამ გადაყვება... ენა თუ შეერტყა, სარს გაცემს წყვილი!..."

ამის შემდეგ დისერტანტმა კიდევ მრავალი არგუმენტი მოიტანა და, რადგან ეს ვალი თეორიული დებულების სისწორე პრაქტიკაში მტკიცდება, დასასრულ ხაზგასმით დაწერა: „ენა რომ ნამდვილად ადამიანთა ხილვა-ლეკის იარაღია, ეს გასაკუთრებით თვალსაჩინო გახდება მოწინავე ფისერტაციის დაცვისას". უეჭველია, ზარე ათიოდე ენა წამოხტება მეტოქეთავით აღლესილი და ყანყრატოში მებრძოლისა უბიდუს, ვიდრე ფისერტაციის ჩაშლას და ჩავარდნას, ეს კი სიკვდილზე უარესია, ანა, უპარისთ ადამიანი რა ბედისაა? მაგრამ ვინაიდან ენის ასეთი მომაქმედება ჩემი აზრის სისწორის ზედმიწევნით დაასაბუთებს, ვიმედოვნებ, რომ ხარისხს წარმატებით დავიცავ".

რევაზ მეგრელიშვილი

ვარსკვლავიანი ღამე

(დასასრული)

ნავთის რიგში ვიდექი. დედის კალთას ჩავეჭიდებოდი და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ცაისპერით მოქარგული უზარმაზარი მაუდის სქელი შალი მეხვია ზურგიდან მუცელზე შემოხვეული და უკან ზურგთან უშველებელ კვანძად შეკრული. ფეხზე მამულის წინდები და რაღაც საშინლად სამოვარი კალოშები მეცვა. ახალ კალოშებს ალტაცებაში მოვყავდი. დედის კალთას ჩავჭიდებოდი და ვხტოდი. ჩემი ბედი არავის ხტოდა. იმდენ ხალხში მე ერთი ვიყავი ბედნიერი, ბედნიერი ვიყავი, რადგან ახალი კალოშები მეცვა. და ის კალოშები არაჩვეულებრივად ბრწყინავდა. თითქოს ბაფრიჯის ქერქისგან ყოფილიყოს შეკერილი.

ჩვენს უკან, ორი თუ სამი თუნუქის „ბიდონის" იქით, ხანშიშესული თმაგათეთრებული კაცი იდგა. ახლაც თვალწინ მიდგას ის კაცი, — მაღალი, გამხდარი, ღრმადჩაცვენილი ნაღვლიანი თვალებით და თეთრი, პაპუსხებურად შეკრეჭილი წვერით. ძველებურად ძალიან გრძელი და გახუნებული პალტო ეცვა. პალტოზე ოქროს ღილები ეკერა და ყველაზე მეტად ის ოქროს ღილები მიზიდავდა. რა იქნება ერთი რომ მოწყდეს და ჩამოვარდეს მეთქი, ვნატრობდი. კაცს თვალები ოუმცა ნაღვლიანი ჰქონდა, მე როცა მომაჩერდებოდა იმ თვალებში რაღაც საიდუმლო ჩაუქრობელი გიზგიზებდა და ალერსიანი შუქი ჩადგებოდა, მაშინ ხტომას შევწყვეტდი და თავს მორცხვად ჩავღუნავდი ხოლმე.

უცბათ ის კაცი ცუდად გახდა, კედელს მიეყრდნო და აკვნესდა. დედამ ჰკითხა — რა დაგემართათო, კაცმა ხელი გაიქნია. მერე გვერდით გადგა და ქვაზე ჩამოჯდა. ხალხი რიგში იდგა. რიგი ძალიან ნელა მიიწევდა წინ. კაცი წამოდგა და ისევ რიგში ჩადგა. რიგი ტაატით მიიწევდა წინ. მე აღარ ვხტოდი, დედის კალთას ორივე ხელით ჩავჭიდებოდი და იმ კაცს ქვეშქვეშად ვუმზერდი. უეცრად თქვა — გაუშვით, ურიგოდ აიღოს ნავთი. რამდენიმე კაცი დათანხმდა. ერთი ქალი გაკაპასდა, მოხუცმა თავი გაიქნია, ისევ რიგში იდგა. მერე უცბათ, თითქოს წვივებიდან ძელები გამოაცალესო, ჩაიკეცა. ჩაიკეცა. ფეხები და ქვაფენილზე მოწყვეტით დაეცა. ხალხი შემოეხვია. ერთხანს მუმზარავი სიჩუმე იდგა. მერე კაცებმა ქუდები მოიხადეს. დედამ შეჰკივლა, მაჯაში ხელი წამავლო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ძლივს მივყვებოდი დედას, თითქოს რაღაც საშინელი ურჩხული მოსდევდა და იმას გაურბისო. სახლამდე ისე ვირბინეთ, სულიც მოუთქმელად არ შეგვეძლოდა. დედა გულამოვარდნილი გარბოდა და მეც მიმათრევდა. ხუთი თუ ექვსი წლისა ვიყავი, მას შემდეგ უთვალავმა დრომ განვლო, მაგრამ მეხსიერებამ სიკვდილის მოხუცი ისევ თვალწინ მიდგას... თვალწინ მიდგას და ერთი სული მაქვს ვიყვირო:

— ადამიანებო, ნუ გრცხვენიათ ცრემლისა! ადამიანებო, გახსენით გული, გახსენით გული და ისე იარეთ! ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს! ამ უშველებელ სამყაროში, სადაც დედამიწა ერთი პატარა ატომის ტოლიც არ არის, ჩვენ ასე ცოტანი ვართ!

ადამიანი ადამიანისთვის მგელი როდია, ძმა და მეგობარია, ხოლო მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!

...რაღაც ყალბი სიამაყე, ამპარტავნება, დიდგვარობა ჩაგვიხშობს გულს და გადახსნის საშუალებას არ გვაძლევს. ზოგჯერ ამ ავყიობის გამო ვქმნით ჩვენი გრძნობებიდან იმ საუკეთესოს, რაც გაგვაჩნია. შეუძლიათ უფრო მკაცრად, გულქვად და ულმობლად ვაჩვენოთ თავი, ვიდრე სინამდვილეში ვართ. იმას კი არ ვეძებთ, რაც გვაკავშირებს, იმას ვეხლართებით, რაც გვაცილებს. და დგანან ურიცხვი ადამიანები ერთმანეთის წინ წამოჭიმული მამლაყინწებივით, დეზებს აზიარუნებენ და თვალებს აბრიალებენ... „ძიძგო, ძიძგო მამალო, შენ იცი და მაგანა!"... არც ისე ძნელი კია ერთმანეთის გულის გასაღების მონახვა. ძნელი არ არის მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სხვა ყველაფერთან ერთად ქვეყანაზე არის ისეთი ჯადოსნური კვერთხიც, რომელსაც გულწრფელობა ჰქვია.

ერთი ამბავი მაგონდება.

საპიონერო სისოდ ახალი კოსტუმი შემიკერეს და საბანოდ ნაყიდი? სასაჩუქროდ? მომართეს. ეშხი ყარდა? იყო ის კოსტუმი შეკერილი, მარჯანივით ღილები მეხვერს ქვევით ვაკვრინდა ტილებზე. ფერუმიდრით გამოვარდნილ ზედატანს ამოშვებული ზურგი ჰქონდა და წინამხარეს სამი უშველებელი ჯიბე ეკერა. ქვეშ თეთრი პერანგი მეცვა. ყელთან აბრეშუმის გვარიანად მოზრდილი ბაბთა მეკეთა. ახლა რომ მოვიგონებ, ქუჩაში ამნაირად ჩაცმული ბავშვი, ალბათ მეც წამოვლეს სული მხიარულებაზე, თორემ ჩვენი ქუჩის ბიჭებს რა მოეკითხებოდათ! ისინი ოთხნი იყვნენ. ჩვენებს კარგად მოეცილებით, ქუჩის ბოლოში ერთ გაუქმებულ სადარბაზოსთან იყრიდნენ ხოლმე თავს. როცა არ უნდა ჩაგევლო, მუდამ იმ სადარბაზოს საფეხურებთან ისხდნენ და კოჭაობდნენ, ან კამათლებით ყომარბაზობდნენ. სკოლაში მიმავალი იმ ადგილს გვერდს ვერ ავუქცევდი და, თუმცა ძალიანაც მეშინოდა მათთან შეხვედრა, დღე ისე არ გავიდოდა, ორჯერ ან სამჯერ მაინც არ გადავეყროდი. გული შორიდანვე ფანცქალს დამიწყებდა ხოლმე. ბევრს კი არაფერს მიშვებდნენ, მაგრამ ერთი გადმოხედვაც საკმარისი იყო, რომ თავი მიწასთან გასწორებულად მეგრძნო. დავცინა, ადგება და ხიხინი იყო იმ გადმოხედვაში „დედის ბიჭო", „ფუნთუშას" ან „პუზიკას" მეძახდნენ, ისიდა მიხედვით, თუ რა გუნებაზე იყვნენ. მე სამივე მეტსახელი ერთნაირად მძაგდა და ერთნაირად დამამცირებლად მიმაჩნდა. შუბლს შევიკრავდი, თავს მაღლა ავწევდი და თავიდან ფეხებამდე საკუთარი ღირსების ჯავშანში ჩამჯდარი, ისე გავივლიდი, გვერდს ავუვლიდით იმათ იქ ყოფნა არაფრად ჩამეგდოს და მათი ეს მრავალმნიშვნელოვანი მზერა, უკაცრავ პასუხია და, ფეხებზე მკიდებოდეს. სინამდვილეში სულაც არ იყო ასე. სინამდვილეში ჩემს თავზე ჯავრი მიმდიოდა და ლამის გულზე გავმსკდარიყავი. რადგან მართლაც ნამდვილი „დედის ბიჭი" და „ფუნთუშა" ვიყავი. საქმე ის იყო, რომ მე თვითონ არ მომწონდა ჩემი თავი, მე თვითონ არ ვიყავი ჩემი გარეგნობით, მდგომარეობით და ვაჟკაცობით კმაყოფილი. ამ ქვეყანაზე ყველაფერი შეფარდებითია და რასაკვირველია ჩვენს სკოლაშიც იყვნენ ჩემზე უფრო „ფუნთუშა" ბიჭები. სწორედ იმათ ვერ ვიტანდი თვალის დასანახავად. სწორედ ისინი მძულდნენ. ხშირად კიდევაც წავეჩხუბებოდი ხოლმე. უფრო აქლემებისთანებთან ვმეგობრობდი. რადგან ისინი ერთგვარ ხიდად მეჩვენებოდნენ ჩემსა და ჩვენი ქუჩის ყომარბაზებს შორის. აი, როგორ იყო საქმე.

იმ დღეს საპიონერო საღამო გვქონდა სკოლაში. ჩემი მორიგეობა შუადღიდან დაიწყო და საღამომდე გაგრძელდა. არც ტირილმა, არც ყვირილმა, არც ხვეწნამ ჭრა გაიარა. ჩვენ უკვეთავად ვიცით რაც გვეწედა, მითხრეს და სავალდებულო აბრეშუმის უშველებელი ბაბთა მეკეთა. ქუჩაში რომ მივაბიჯებდი, ფეხები უკან მრჩებოდა. თმაც კი არ დამიტოვეს ჩემს ნებაზე — ზღაპრულად ყელზე მივკრებული — ჩაის წყლით დამისველეს და ჯავრისით ისე გადამისვარცხნეს, რომ ბიჭოს გამოვიხედე. წყლიდან ხელზე ამოვარდნილ თევზივით ფართხალებდა გული მკერდში.

— აე, ბიჭო, ჩვენ პუზიკას შეხედეთ, როგორ გამოპრანჭულა! დაიძახა ერთმა და თეძოზე გაიტყლაშუნა ხელი.

— პუზიკ! — შემომძახა მეორემაც და ფეხი ისე გამოიშალა, რომ ქვაფენილზე მთელი სიგრძით გავიშოტე. ღილებიანი ჯაგლი კვერცხის ხაჭაპურით შემომესხურა ზედ. უარესი ის იყო, რომ მიწაზე გადალაბნილ ლაფ კვერცხსავით ვეგდე თავი და ცხენივით ზღუქუნით ამოვარდა. რის ვაივაგლახით წამოვდექი. წამოვდექი, მაგრამ კი არ წავედი, ერთ ადგილზე გავშეშდი, ვერც წასვლა მოვახერხე, ვერც სხვა რამე. მტვერით დასვრილი სადღესასწაულო კოსტუმიც კი არ ჩამომეფერთხა, ვიდექი და უსიტყვო სახით შევცქეროდი ბიჭებს. აღარა გტიროდი. უცნაური სახით შევცქეროდი მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი სახის უცნაურობას მათ გამოფხიზლებაში ვკითხულობდი. გაოცებულნი მომჩერებოდნენ და... უცბათ შეუდგებულ სისხლის ბოლოტებით ამოვარდა გულიდან:

— განა მე კი მომწონს ეს ოხერი ბავშვობა! ძალიანაც მეჯავრება, მაგრამ...

სასაცილოა, არა? კედელს ცხრეჯე შევეყარე!.. წარმოიდგინეთ არც სასაცილო გამოდგა და არც კედელზე შეყრილი ცერცვის ამბავი მოხდა... სხვა რაღაც მოხდა. სანწუხელი მოხდა. იმ სანწუხელმა ყინული გაადნო და ჩვენ ერთმანეთი დავინახეთ.

ყველაზე პატარა მათ შორის, ის, რომელმაც ფეხი დამიდო, წამოდგა და მანიშნა — გაიწმინდე, დასვრილი ხარო. იმისვე ველანიებით უცბათ ამოფრქვეულმა გრძნობამ, რომელმაც წელან ის სანწუხელო მოქმედი სიტყვები მათქმევინა, ხელი ამიწვდინა და...

ჩემს წინ მდგარ ბიჭს მთელი ძალით გავარტყი სილა. ბიჭი დაბარბაცდა. სხვებმა გადიხარხარეს და ჩვენ დავემშვიდობეთ.

თქვენ იტყვით, ასე არა ხდება. მაგრამ მე ხომ ნამდვილ ამბავს გიყვებით! თქვენ იტყვით, ასე არა ხდება და მეც დავეთანხმებით, რომ მართლაც არა ხდება ასე, დიახ, არა ხდება. ეს ამბავი რომ გამეორდეს, ახლა აღარ ვიტყვი, განა მე კი მომწონს ეს ოხერი ბავშვობა მეთქი. არ ვიტყვი, თუნდაც პირიქითაც მძულდეს ის ბავშვობა, არ ვიტყვი, რადგან არც ისე ადვილია იყო გულწრფელი, ბუნებრივი და გულუბრყვილო.

• • •

ზოგჯერ, როცა მოწმენდილ ცას გავჰყურებ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალი ძალიან ახლობელი, თბილი და ხელშესახები ნაცნობი მეჩვენება. მაშინ თითქოს გონებაც გუნებაც და ძირეულ მნათობთა საიდუმლოებას ძირის ძირობამდე ვწვდები... ყველაფერი ნათლად და ისე უბრალოდ მოჩანს, თითქოს ეს თვალუწვდენელი სამყარო მართლაც შენი ხელით მოქმედი ნაწილის ეზო ყოფილიყოს.

ყოველთვის ასე არ არის.

არ ვიცი გონების დაბნობამ იცის, თუ პირიქით, გონების წყვდიადი აღელვების ბრალია, ისეთი წამიც დგება, როცა ყველაფერი ის, რაც წელან ცხადად მეჩვენებოდა, ისე აირევა, თავსა და ბოლოს ვეღარ გაუგებ.

წარსულის წიგნს როცა ფურცლავ და გადაშლილ დღეთა მეუღლებას მიჰყვები, ასე გგონია, თითქოს მაძიებელი ხალიპის ვაცოთ სიმაცოცხლისა და მშვიდობის საკითხი უფრო ადვილი გადასაწყვეტი იყო ვიდრე შენთვის ვარსკვლავების შერმება. დრო მაინცდამაინც. დამარცხება საგნებს სულ უფრო ამატარავებს. მაღალი კომეტიდან დაბლა მდგარი გოლიათიც ჭიანჭველას ჰგავს, გგონია ფეხს დაადგამ და გასრეს. ჩადი და ხიხვ! აი, როგორია საქმე. „სხვა სხვის ჭირში ბრძენია", საკუთარ ჭირში გარკვევა ძნელია. ათელის კორიდორებში ადამიანის ინტერესები უნდა მიაბა მეთქი, წელან რომ ვთქვი, შენ ეშმაკურად გაეცინა, თითქოს მეუბნებოდი აბა, აბა მიაბი, ვნახოთ ერთი რომელს მიაბამო. სადღაც მაღლა ღმერთების სამყოფელში ვიყავით და დაბლა დედამიწა ჩანდა ბურთივით ლილვებოდა.

— რაღას უცდი; მიაბი! — მაქეზებდი შენ — აგერ თუნდაც იმას, იმ კაცს მიაბი.

— ის ქურდია, — ვთქვი მე.

— მაშინ იმას.

— თაღლითია.

— ის?

— კონტრრევოლუციონერია, — და უცნაურად გაიხარხარე, — რა გამიჭირე საქმე! — ვიყვირე მე. მეტს ვერავის ხედავ? აი, ადამიანები, ასეული მილიონი ადამიანი, ერთი გზით რომ მიდიან, ამათ ვეღარ ხედავ.

— ეგ არის საზოგადოების ინტერესი, — ნიშნნაჯმებით სთქვი შენ და გაიცინე.

— მართალი ხარ, — დავეთანხმე, — ოღონდ ისე, რომ უსამართლობა და ძალმომრეობა არ იყოს.

— იგი კი რა არის უსამართლობა? — მკითხე შენ.

კითხვა მეურაცხყოფად მიეიღე და პასუხი არ გაგეცი.

შენ სთქვი:

— ჩვენ კი, შევთანხმდით, რომ თავისთავადნაგულისხმევად არაფერი ჩავთვალოთ. აკი იმაზედაც დავთანხმდით, ეს რაღაც ათელის სისტემა საზოგადოების ინტერესებს მოვამაგრეთ.

— ადამიანის ბედს საზოგადოებიდან ვერ ამოიღებ! — ვიყვირე მე. — საზოგადოების ინტერესებთან გადაჯაჭვულად არის შეწყმულ ცალი უზენაესი სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა.

— კეთილგანი შორეულ კუნძულზე გარეგება სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის განსახიერება, მაგრამ ისეთი საშუალება არსებობს, საიდანაც უდანაშაულო კაცის ახლობლებისგან ძალით მოწყვეტა უსამართლოდ მიჩნდა და კაცთმოძულეობას წააგავს. გული ძალიანაც რომ გეტკიოს, ის საშუალებები მაინც უნდა აიტანო.

— ადამიანის ბედს საზოგადოებიდან ვერ ამოაგდებ! — ერთსა და იმავეს ვიმეორებდი გაჯიუტებით.

— ცხოვრება მკაცრი რამ არის, — მიპასუხე შენ, — ხოლო უზენაესი სამართლიანობა კიდევ უფრო მკაცრია.

რაღა გითხრა?!

ვიცი, ვერც უზენაეს სამართლიანობას და ვერც კაცთმოყვარეობას ანგელოზის ფრთებით ვერ წარმოიდგენ. ისინი ფოლადის ჯავშანში ჩამჯდარ მეომრებს უფრო ჰგვანან, რომლებსაც ამხარზე ლილვის ნაცვლად ყელზე შემდგარი მიმდევრები დამნებდა აკვრიათ... რა ვუყოთ მერე, მათ უფრო ფრთხილად, ალალად და ნამუსიანად უნდა ატარონ ეს მეომრები ადამიანებით დასახლებულ დედამიწაზე. სადაც ასე ჭირს ერთმანეთის გზის აქცევა და, სადაც, თუ ერთეული ადამიანი შიშველ დაატარებს ჩინგის ხმებივით დაჭიმულ ნერვებს, რომლებიც ძაფის უნებლიედ მოძრაობაზედაც გულში ჩამწვდომად კვნესიან, მეუხარების ან სიხარულის გრძნობით ცლერენ.

●●●

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, შ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 68449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03618.